# ალია

რეკლამა
„ალიაში“
5 77 444 442

N166/3288/ 3 ნოემბერი 2015 წ
PRESS ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

wikileaks-ის მორიგი ჩანაწერი: მაკკეინი სააკაშვილს: „რა რევოლუციას იწყებდი, ბიჭო?“ 3




ეჰ, ბატონო პრემიერო, „პოროს“ ჩანაწერებით დაინტერესებას კი არ უნდა სთხოვდეთ, მისგან იმ გაჟბატონის ექსტრადირებას უნდა მოითხოვდეთ, თან კატეგორიულად! 2



ჯანყარაშვილის 3-მილიონიანი სკანდალი — შავლიაშვილი, ცაბუტაშვილი, ხოკრიშვილი — ბუღალტერი დუმილს არღვევს 3




აი, ამის მერე ნანუკა ჟორჟოლიანი სიტყვის თავისუფლებაზე საერთოდ როგორ იღებს ხმას?! 2



კატასტროფები, ომი და რევოლუცია — მიხეილ ცაგარელი მთავრობას აფრთხილებს 3



აუხ, ჩაგვაცვით შავები! და კალაძეს შეაპარეთ, პირდაპირ ნუ აჯახებთ... 6




## თბილისში ტაქსები ულიცენზიოდ ველარ იმუშავებენ

9





## დემურ გიორხელიძე: „ეს ყველაფერი ხომ ძალიან კარგად იცის ხელისუფლებამ? სად არის პარლამენტი, რას აკეთებს, რა ხდება საერთოდ, რატომმაა გაჩუმებული ყველა? “

5



SOS!!! არ შეიძინოთ ეს პროდუქტი, რომელიც სიმსივნეს იწვევს! 6




ღარიბაშვილს რომ ჰკითხო, ეკონომიკა გვაქვს ისეთი, მტერს თვალებს დაუფსებს, აი, ქადაგიძე კი ასეთ აზრზეა... 6



მოსამართლემ ციხეში საკუთარი სტენოგრაფისტი ჩასვა 16



აღმოჩენილია ინფარქტის ახალი მიზეზი — ქლამიდიოზი 16



მედიკოსები აბების დანაწევრებას გვიკრძალავენ 16



კედელს მიღმა დანახვა შესაძლებელია 15



## სანამ სააკაშვილს უკრაინული არხის ეთერიდან გათიშავდნენ, მან ძალიან საინტერესო რამეების თქმა მოასწრო...



ოდესის გუბერნატორი და საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინულ არხზე ეთერიდან გათიშეს.

როგორც სააკაშვილი აცხადებს, უკრაინა უნდა განთავისუფლდეს მძარცველებისგან.

– ტელეკომპანია 1+1-მა გადაწყვიტა, ჩემი პირდაპირი ეთერი საიტიდან მოეშორებინა, თუმცა ჩანაწერი ვიპოვეთ, – წერს სააკაშვილი. (კვირა.გე)

**ჰო, ნუ, აკადრეს მიშას ის, რასაც აქ მას ვერც ერთი ტელევიზია ვერ გაუბედავდა. რამდენად სწორად მოიქცა ტელეკომპანია, ეს საუბრის სულ სხვა თემაა, ჩვენ კი მიშას აი, ამ სიტყვებმა დაგვაინტერესა, რის გამოც, პრინციპში, გათიშეს კიდეც ეთერიდან:**

**— პროკურატურასთან ძალიან ბევრი სერიოზული შენიშვნა მაქვს: როგორ შეუძლიათ მუშაობა, როგორი პროფესიონალები არიან, ბევრი კითხვაა, ბევრი კითხვა, მაგრამ ის, რომ ეს ადამიანები ძარცვავდნენ უკრაინას, რომელი პროკურატურაა საჭირო, რა, არ იცით, რომ ასეა? საიდან აქვთ მილიარდები? კიდევ ერთხელ ვიმეორებ, უნდა მივადგეთ კორბანსაც, კოლომოისკისაც, ივანჩუკოვსაც და მარტინენკოსაც... ის, რომ ისინი პოლიტიკოსები არიან, არ ნიშნავს, რომ არ უნდა აგონ კანონის წინაშე პასუხი, უნდა დააცარიელონ უკრაინის ბიუჯეტი... არ მოვრჩები იმის გამეორებას, რომ დამნაშავეები ციხეში უნდა მივაბრძანოთ, — განაცხადა გაცეცხლებულმა პატივცემულმა...**

**შენ გაგიმარჯოს ღმერთმა, ჩვენც სულ მაგას ვამბობთ „ნაცებზე" და სულ მაგას ჩავჩიჩინებთ „ოცნებას" — რა სიკვდილად გინდათ ეს პროკურატურა, რომლის მიმართაც ნამდვილად ბევრი კითხვა გვაქვს, რა, არ იცით, რამდენი იჩათ...ეს მიშამ და მისმა სამეგობრომ? რა, არ იცით, რა უქნეს ბიუჯეტს, ხალხსა და ქვეყანას?!**

**აგერ, თავად მიშაა იმის მომხრე, რომ უკრაინელი ჩინოვნიკები: კორბანი, კოლომოისკი, ივანჩუკოვი, მარტინენკო (სხვათა შორის, ეს ბოლო ორი პრემიერ იაცენიუკის გარემოცვის წევრია) პროკურატურის გარეშე დასაჯონ.**

**ისე, შე მამაცხონებულო, შენა, თუ კონსტიტუცია და კანონები არ წაგიკითხავს და ფეხებზე გკიდია, „ზუბრიაჩკების" „სიბრძნის სიმფონიაში" მაინც არ ამოგიკითხავს, — როგორც არ გინდა შენ მოგექცნენ, შენ ნუ მოექცევი სხვას ისეო?**

**ან ევროპას რომ დიდი გული აქვს, ჰაიტ, შერჩევით სამართალს აქვს ადგილიო, მიშა, რა, თემიდას ნათლულია და აქვს უფლება, ჩინოვნიკებს გასამართლების გარეშე დაერიოს?!**

**ჩამოდი, მიშა, ჩამოდი...**

## ეჰ, ბატონო პრემიერო, ,,პოროს" ჩანაწერებით დაინტერესებას კი არ უნდა სთხოვდეთ, მისგან იმ ვაჟბატონის ექსტრადირებას უნდა მოითხოვდეთ, თან კატეგორიულად!



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს წერილი გაუგზავნა ოდესის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის ცნობილი სატელეფონო საუბრის ჩანაწერებთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის მეთაური შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო საუბარი, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილ ხელმძღვანელთან და ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის გენერალურ დირექტორთან, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ განცხადებებსა და ანტისახელმწიფოებრივი, ძალადობრივი ქმედებებისკენ კონკრეტულ მოწოდებებს შეიცავს. პრემიერ-მინისტრი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსგავსი ქმედებები საქართველოსა და უკრაინის მეგობრულ ურთიერთობებს არ შეეფერება. პრემიერი აღნიშნავს, რომ ამ მოწოდებებმა შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას საქართველოში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას და უკრაინის პრეზიდენტს აღნიშნული საკითხით დაინტერესების თხოვნით მიმართავს.

ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს. (პირველი რადიო)

**როგორ შეიძლება იმის დაჯერება, რომ „პორომ" (მაგარი „კლიჩკა" კი მოუგონია „სააკას", გამოდგება სამომავლოდ) არ იცის, ვინ ჰყავს გვერდში, რისი გამკეთებელი და რაზე წამსვლელი?! გასაგებია დიპლომატია, რევერანსები და ეგეთი რამეები, მაგრამ „პოროს" მთელი ხელისუფლება რომ საშინლად ჩათლ...ობს სააკაშვილთან დაკავშირებით, ხომ ფაქტია?!.**

**ბავშვობაში იყო ხოლმე, ვინმეს რომ ბევრი გალახავდა, ამაყად იტყოდა — „ერთი მაინც დავარტყი და ჩემი „გავისწორეო".**

**ჰოდა, ყველა რომ ჩვენ გვირტყამს — პირდაპირ თუ არაპირდაპირ, არ შეიძლება საქართველომაც „გაისწოროს" თუნდაც ერთხელ და ტონი მაინც გვქონდეს უფრო აგრესიული, ბოხი და მომთხოვნი?**

**კი შეიძლება, ბატონო პრემიერო, როგორ არ შეიძლება და უფრო მეტად მივაწვეთ — „საცა ვიწრო იყოს, იქ გაწყდეს" — რას ვკარგავთ, რო?**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## აი, ამის მერე ნანუკა ჟორჟოლიანი სიტყვის თავისუფლებაზე საერთოდ როგორ იღებს ხმას?!



ნანუკა ჟორჟოლიანი უკრაინულ საიტზე დღეს გავრცელებულ აუდიოჩანაწერზე აკეთებს კომენტარს და ტელეკომპანია „იმედს" კოლეგიალურობის ფეხქვეშ გათელვაში ადანაშაულებს:

– „იმედმა" ხმა აღარ ამოიღოს. აი, იმ „იმედმა", რომელიც გადაწყვეტილების მიმღებია და არ მითხრათ, თქვენ ეს გიკვირთო?!

დიახ, მეგობრებო! გვიკვირს! ვის არ მიუღია დავალება? ვის, ვინ არ უპრავებია! ვის არ უმუშავია სახელისუფლებო არხზე, მაგრამ მეგობრობა, კოლეგიალურობა, ფეხქვეშ არ გაგვითელია! „იმედში" დარბეულ ჟურნალისტებთან გვირეკია! (მაშინ „ვაიბერი" არ იყო და ღიაზე) და გვიკითხია, რა შეგვეძლო მათთვის გაგვეკეთებინა! ეს იმიტომ შეგახსენეთ, რომ ხშირად გვეკითხებიან მაგ დღეზე და დანარჩენს არ მოვყვები.

ჩაჯმული ნოდარიკო კი არა, ისაა, ვინც ამ ჩანაწერის გავრცელებაზე უარი ვერ თქვა.

ჩემი ერთი მეგობარი მეუბნებოდა, – იცი, რა ტიპის ანომალიაა ბიძინაო?! პირადი ჩანაწერების მოსმენაზე გიჟდებაო. ენების მიტანაზეც მერე. მაგალითად, ცოლს მიახვედრებს, რომ ქმარმა უღალატაო. მეგონა, აზვიადებდა ჩემი მეგობარი და სულ უნამუსო ვეძახე... ეჭვი მაქვს, სწორს ამბობდა... – წერს ნანუკა. (ambebi.ge)

**ესე იგი, თავისუფალი სიტყვისთვის მებრძოლი ნანუკა ჟორჟოლიანი ამბობს, სხვებთან ერთად მეც მიმუშავია და ბევრი რამეც მიპრავებია, მაგრამ ამ დროს კოლეგები არ დამიკიდებიაო...**

**რა უნდა გკითხოთ, „კოლეგავ", თუ იცით? ჰო, დავუშვათ, კოლეგიალობა ფეხქვეშ არ გაგითელავთ მაშინ, როცა ვიღაცის დაკვეთებს ასრულებდით და რაღაცებს „აპრავებდით", მაგრამ ვინ და რა ითელებოდა ამ დროს, შეგახსენოთ თუ თავად მიხვდებით?!**

**ვინ ითელებოდა — და საზოგადოება, მაყურებელი, რადგან უტიფრად ატყუებდით და შავზე ეუბნებოდით, თეთრიაო!**

**რა ითელებოდა და — სიმართლე ითელებოდა, რადგან ჟურნალისტიკა დაკვეთით მუშაობა არ არის, ჟურნალისტიკა სიმართლეა და არა — აფერისტობა და ვიღაცის „გაპრავება".**

**როცა თავად აღიარებთ, „კოლეგავ", რომ ვიღაცებისა და რაღაცების „გამპრავებელი" იყავით და ამასთანავე, გყოფნით თავხედობა და ვინმეს მიმართ პრეტენზია გაქვთ თუნდაც მეგობრობა-კოლეგიალობაზე, კაპიკია თქვენი სიტყვის ფასი!**

**ჰო, დიახაც, „ალია"-„ქრონიკაზე" იმის თქმას, რომ ოდესმე ვინმეს დაკრულზე ვცეკვავდით, ვერავინ გაბედავს, თვით სააკაშვილიც კი, რომელსაც თავის დროზე როგორც შევარდნაძის წინააღმდეგ მებრძოლს, გვერდში ვედექით და რომელიც „ვარდების რევოლუციამდე" ლამის ყოველდღე ჩვენს რედაქციაში იჯდა, მაგრამ როგორც კი გაუტია, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და დამანგრეველი დარტყმები სწორედ ჩვენგან მიიღო!**

**ვერც „ქართული ოცნება" გაბედავს და იტყვის ამას ჩვენზე, რადგან, როგორც კი გაუტია, ყველაზე სერიოზულ დარტყმებს სწორედ ჩვენგან იღებს და მიიღებს კიდეც, თან კიდევ უფრო მწარე-მწარეს!**

## ლარი ისევ გაუფასურდა



ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში მცირედით გაუფასურდა. კერძოდ, 3 ნოემბერს 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,3987 ლარია. ეროვნული ბანკის მიერ 30 ოქტომბერს დადგენილი კურსი, რომელიც დღემდე მოქმედებდა, 2,3980 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილება 0,0007 ლარია.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,6441 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა აქამდე მოქმედი კურსი 2,6414 ლარს შეადგენდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილება ევროსთან მიმართებაში 0.0027 ლარია. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნეტა რამის თავი გქონდეთ და ვისაც ეწყინოს, ვისაც ჩვენი ქვეყნის არეული გაუხარდეს, იმის დალაგებულის...



– ზედაპირულად ჩანს, რომ მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა" ქვეყანაში არეულობას, პროვოკაციების მოწყობას, ძალადობასა და სისხლისღვრას გეგმავდა, – ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა იმ ჩანაწერებთან დაკავშირებით განაცხადა, რომელიც, არსებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილის ნიკა გვარამიასთან და სოფო ნიჟარაძესთან სატელეფონო საუბარს ასახავს.

კითხვაზე, რა წყაროებით ხვდება აღნიშნული ჩანაწერები უკრაინულ საიტებზე და რამდენად კანონიერი გზით შეიძლება იყოს ის მოპოვებული, სესიაშვილი ამბობს, რომ საგამოძიებო პროცესში რაიმე ინფორმაციის მოპოვების უფლება არ გააჩნია, მით უფრო, თუ საქმე კონტრდაზვერვით საქმიანობას ეხება.

– ვიცი, რომ საგამოძიებო მოქმედებები ძალიან აქტიურად მიმდინარეობს. ვიცი, რომ არსებობს სხვადასხვა ტიპის ოპერატიული ინფორმაცია და ამაზე კონტრდაზვერვის სამსახური ადეკვატურად რეაგირებს. ვიცი და შემიძლია, საზოგადოება დავამშვიდო, რომ ნებისმიერი პროვოკაცია, რაც დაიგეგმა და იგეგმება, აღკვეთილი იქნება, რადგან ჩვენი სამსახურები ადეკვატურად და ეფექტურად მოქმედებენ. საფრთხეები მეტწილად განეიტრალებულია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ, თუკი ადგილი ჰქონდა დანაშაულს, ამას შემდგომი მოქმედებები არ უნდა მოჰყვეს, – აცხადებს სესიაშვილი და სამართალდამცავი ორგანოების მიერ აღძრული საქმის ბოლომდე მიყვანის იმედს გამოთქვამს. (ინტერპრესნიუსი)

**ოხ, იმედი არ მოგიშალოთ ღმერთმა, ბატონო ირაკლი, იმედი! ჯანმრთელობა პირველ რიგში, ხვავი და ბარაქა...**

**ერიჰააა, მგონი, სულ გადაგვრია ამდენმა საძაგელმა ჩანაწერმა, ხომ იცით თქვენ!..**

**იმედი თქვენ მაინც რომ გაქვთ, ბატონო ირაკლი, კარგია, ალბათ, მაგრამ ხალხს რომ აღარ სჯერა, რომ დამნაშავეებს პასუხს მოსთხოვთ, რა ჯანდაბა ვქნათ?!**

## მოსმენილის შინაარსის გადმოცემაც კი არ გცოდნიათ — ანუ ვაირევოლუციონერთა სახეები ,,ნაცმოძრაობაში"



– საუბარია თავდაცვაზე და ამ მხრივ იმ ადამიანების რჩევებზე, რომელთაც იციან, როგორ შედის სპეცრაზმი ამა თუ იმ შენობაში, – ასეთ განმარტებას აკეთებს „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი ჩანაწერებზე, რომელიც, არსებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილის ნიკა გვარამიასთან და სოფო ნიჟარაძესთან სატელეფონო საუბარს ასახავს.

მაჭავარიანის თქმით, გამოქვეყნებული ჩანაწერები კომპილაციაა. მისივე განცხადებით, „10 ოქტომბრის შემდეგ, როცა ხელისუფლების დავალებით „ნაციონალური მოძრაობის" ოფისებზე ძალადობა განხორციელდა, ფიქრობდნენ, რომ მთავრობა ყველაფერზე წავიდოდა და თავის დაცვა გახდებოდა საჭირო".

– ჩანაწერების კომპილაციით გავიგეთ, რომ მთავრობა გვისმენს, გვისმენს ძალიან ყურადღებით და ღამეებს ათენებს, რომ გააკეთოს ჩანაწერების კომპილაცია, რათა გამოაგდოს შედეგი, რაც მას აწყობს. 10 ოქტომბრის შემდეგ, რაც ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით „ნაციონალური მოძრაობის" ოფისების დარბევა, პლაკატების გამოკვრა დაიწყო, ველოდით, რომ მთავრობის მიერ დაქირავებული ტიტუშკები და სპეცსამსახურების წარმომადგენლები ძალოვან შეტევებს განახორციელებდნენ. მათ შორის იმ ადგილებზე, სადაც „ნაციონალური მოძრაობა" სიტყვის თავისუფლებას იცავდა. გუშინ ნაძლევი დავდე და მოვიგე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ და თუ სასამართლო კიდევ გადაიდებოდა, ახალი ჩანაწერები გამოქვეყნდებოდა, – განაცხადა მაჭავარიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას. (ინტერპრესნიუსი)

**ჰო, ძალადობასა და სისხლისღვრაზე კი არ საუბრობს სააკაშვილი, კაცო, როგორ გეკადრებათ, თავდაცვაზე, თავისუფალი სიტყვის გადარჩენაზე ზრუნავს ბიჭი, დედა ენაცვალოს მაგას!..**

## რაც რამე ჩანაწერები გაქვთ ამ შობელძაღლობებზე, ბარემ ერთბაშად გამოუშვით, დავიტანჯეთ უკვე, რატომ გვაკარგვინებთ ამდენ დროს?!



უკრაინულ საიტზე uarevo.in.ua ახალი აუდიოჩანაწერები გავრცელდა. ერთ ჩანაწერში მიხეილ სააკაშვილი სოფო ნიჟარაძეს ესაუბრება, ხოლო მეორეში კვლავ სააკაშვილ-გვარამიას დიალოგია.

**გთავაზობთ ჩანაწერების ტექსტურ ვერსიებს (სტილი დაცულია):**

მიხეილ სააკაშვილი: ვიყავი პოროსთან და მოვედი, ეხლა დავამთავრე.

სოფო ნიჟარაძე: როდის გადავწყვეტო ამბავს?

მიხეილ სააკაშვილი: რა ვიცი, დაველაპარაკოთ 26-შიო.

სოფო ნიჟარაძე: არჩევნების მერე ანუ?

მიხეილ სააკაშვილი: ჰო... მოემზადე, ოცდაექვსში უნდა დაველაპარაკოთ.

სოფო ნიჟარაძე: მდაა... და რისთვის მოვემზადო, არ უთქვამს?

მიხეილ სააკაშვილი: იმისთვის, ზუსტათაც.

სოფო ნიჟარაძე: არ შეგამზადა?

მიხეილ სააკაშვილი: იმისთვის, რაც საჭიროა.

სოფო ნიჟარაძე: პირველი, თუ მეორე?

მიხეილ სააკაშვილი: მანდ სისხლისღვრა იქნება, რო იცოდე...

სოფო ნიჟარაძე: რა პონტში, აქა, ჩვენთან?

მიხეილ სააკაშვილი: აბა...

სოფო ნიჟარაძე: ხო, ალბათ, იქნება.

მიხეილ სააკაშვილი: სტო პრო იქნება, ქინძი ვიყო.

სოფო ნიჟარაძე: ხო, მარა რაღაცნაირად არის, მერე, პასიურობენ მაინც, მე მგონი, ცოტა ეშინიათ.

მიხეილ სააკაშვილი: ვის, კაცო?

სოფო ნიჟარაძე: ჩვენებს.

მიხეილ სააკაშვილი: ეგ თავიდან ყოველთვის ეგრეა. რო იქნება, მერე ნახავ. ნოდარ მელაძე გახდება ფილდკომანდერი.

სოფო ნიჟარაძე: ნოდარ მელაძეა ყველაზე ჩაჯმული.

მიხეილ სააკაშვილი: ვიცი და უნდა გახდეს ფილდკომანდერი.

სოფო ნიჟარაძე: ჩვეულებრივად სუნი ასდის, შორიდან რო ვხედავ, ვგრძნობ...



**აი, ასე გვრიტებივით ხმაშეწყობილებმა იჭუკჭუკეს სააკაშვილმა და ნიჟარაძემ, არც მეტი, არც ნაკლები — სისხლისღვრაზე!**

**რაც შეეხება მეორე ჩანაწერს, რომელშიც სააკაშვილი ნიკა გვარამიას ესაუბრება, აგერ, ბატონო, და დასკვნები თავად გამოიტანეთ:**

მიხეილ სააკაშვილი: ალო, ნიკუშ. ველაპარაკე, კეზერა რომ გელაპარაკა. კი, ვიზიარებ, რო ეხლა არავის არ შეეშინდება ჟურნალისტების კოლექტივის. ერთადერთი, წაიმუშავე ყველასთან სათითაოდ, გაითვალისწინე, რო...

ნიკა გვარამია: მაგას წავიმუშავებ...

მიხეილ სააკაშვილი: გაითვალისწინე, რო ნანუკა გოგიჩაიშვილი რო იძახის, მე რევოლუცია არ მინდაო...

ნიკა გვარამია: არა, არა, მაგას წავიმუშავებ.

მიხეილ სააკაშვილი: მაგათ ყველას აუხსენი, რო ყველას გაყრიან სათითაოდ...

ნიკა გვარამია: ერთადერთი, მოგწერე მე შენ, რა, თემური რო დავიბარო ჯანაშია და ვთხოვო და ამ დაცვის ორგანიზება, ექსპერტიზა, მე არა მაქ მაგაში, თემური შეძლებს, ხო არ არის პრობლემა?

მიხეილ სააკაშვილი: თემური პრობლემა არ არი, მაგრამ მანდ ყველაზე სწორია, ვინც ყოფილი სპეცრაზმელები არიან და იციან, როგორ უნდა...

ნიკა გვარამია: თემურის ხალხი ხო არი ჩემთან, თქვენი დაცვა, ყველა ჩემი დაცვა ეგენი არიან.

მიხეილ სააკაშვილი: ჰო, მარა ეგენი დაცვის თანამშრომლები არიან, მაგათ სპეცრაზმის არ იციან...

ნიკა გვარამია: აა და ეს სპეცრაზმელები საიდან მოვიყვანო მე, „ნაცებს" ვთხოვო, რომ დამაკავშირონ?

მიხეილ სააკაშვილი: გივიმ იცის, იცნობს ყველას.

ნიკა გვარამია: ოკეი, ოკეი, კაი.

მიხეილ სააკაშვილი: მაგათ სათითაოდ განუმარტე, რა, რო ყველას დედას უტირებენ, გაყრიან. ტყუილად გონია ვინმეს, რო რაღაც...

ნიკა გვარამია: ოკეი, მაგას განვუმარტავ. შენ თემურის მიწერე, გეხვეწები, რო დავუძახებ.

## wikileaks-ის მორიგი ჩანაწერი: მაკკეინი სააკაშვილს: „რა რევოლუციას იწყებდი, ბიჭო?"




უკრაინული wikileaks-ი სენატორ ჯონ მაკკეინისა და ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის მიმოწერას აქვეყნებს! როგორც დადგინდა, მიხეილ სააკაშვილი ვაიბერის რუსულენოვან ვერსიას იყენებს.

ჯონ მაკკეინი: გამარჯობა, ბევრჯერ დაგირეკავს, ვერ გიპასუხე, მაგრამ გეტყვი, რომ სერიოზული შეცდომები დაუშვი, არააკურატულად მუშაობ. მე გაგაფრთხილე, რომ ტელევიზიასთან მიმართებაში სისხლიანი სცენარი გამორიცხულია. რა რევოლუციას იწყებდი, ბიჭო?

მიხეილ სააკაშვილი: ბოდიშს ვიხდი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ რჩებოდა. „რუსთავი 2" რომ დავკარგოთ, საქართველოზე გავლენის ბერკეტი დაიკარგება.

ჯონ მაკკეინი: მე ზომები მივიღე – შენს ბიჭებს ხელს არ ახლებენ, გამოძიება დაიხურება. ეშტონმა ყველა გააფრთხილა. ელჩი აქტიურად მუშაობს. ივანიშვილი დაპატიმრების საკითხს არ დააყენებს, თუ არა და ყველა მის ანგარიშს დავბლოკავთ. მაგრამ შენზე ყველა აღრენილია. 10 ნოემბრის შემდეგ სენატორთა ჯგუფთან ერთად ვაპირებთ საქართველოში ჩასვლას.

მიხეილ სააკაშვილი: დიდი მადლობა, ბატონ კარტერს დაველაპარაკები, სენატორების ჩამოსვლა იქნებ დააჩქაროთ, თორემ სასამართლომ შეიძლება გადაწყვეტილება მიიღოს.




ჯონ მაკკეინი: სასამართლო პროცესი უნდა გაწელოთ, შენი ბიჭები საქმეში ჩაერთვნენ და მათ ძალიან აქებენ, ინფორმაცია კი გაიპარა, მაგრამ ყველაფერი ძალაში რჩება. ავაკოვმა ყველაფერი გამოაგზავნა. ყველაფერს კამერაზე დააფიქსირებენ, როგორც კი სათანადო ფონი შეიქმნება, საკითხის გადაწყვეტა განახლდება და გემები წამოვა. პოტუსი (ობამას მეტსახელი. – რედ.) ამოქმედდა, ჩვენი სპეცრაზმი უკვე ქურთისტანშია. მოამზადე მეორე ჯგუფი.

მიხეილ სააკაშვილი: ეს კარგი ამბავია, ბიჭებმა ფიცი დადეს და ყველაფერს გააკეთებენ. შემიძლია, გავაგზავნო კარგად მომზადებული 20 პროფესიონალი. ერთ კვირაში „ილიჩოვსკი" შეძლებს, მიიღოს ყველა ტიპის გემი.

ჯონ მაკკეინი: პაიეტისგან (უკრაინაში აშშ-ის ელჩი. – რედ.) დაგირეკავენ და ბიჭებს წაიყვანენ, მხარდაჭერა უზრუნველყავი. საქართველოს მერე შეიძლება კიევში ჩამოვიდე.

მიხეილ სააკაშვილი: ყველაფერს გავაკეთებთ. ასე რომ, გელოდებით.

ჯონ მაკკეინი: ოკ.

მიხეილ სააკაშვილი: მადლობა. (marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კატასტროფები, ომი და რევოლუცია — მიხეილ ცაგარელი მთავრობას აფრთხილებს



– ვერ გაგახარებთ. პირიქით, გამწვავების ტენდენცია არის ნამდვილად. ყოველ შემთხვევაში წლის ბოლომდე ასეა, – ამ სიტყვებით დაიწყო მიხეილ ცაგარელმა საუბარი ასტროლოგიური პროგნოზის შესახებ. როგორი იქნება საქართველოსთვის მომდევნო წელი და რატომ არის გარდამტეხი პერიოდი სწორედ 16 ნოემბრამდე, ჩვენი სტუმარი ამ ყველაფერს ზედმიწევნით აყალიბებს, რაც, როგორც ყოველთვის, ყურადსაღებია.

– პრესის მეშვეობით არაერთხელ ვთხოვე მთავრობას, ქვეყანაში 16 ნოემბრამდე მაქსიმალურად მოეგვარებინათ ყველა სახის საჭირბოროტო საკითხი. 16 ნოემბრის შემდეგ დედამიწა უარყოფით ენერგოველში გადავა, რომელიც თითქმის წლის ბოლომდე იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს უარყოფითი ველი ძალიან დაძაბავს საერთო ატმოსფეროს. ტრადიციულად, ამ დროს მატულობს აგრესია, დეპრესია, სუიციდის ტენდენციები. ასევე, ეკოლოგიური კატასტროფებისა და ვირუსული ინფექციების ტენდენციები. რადგან ადამიანთა ნერვული სისტემა უკიდურესად დაძაბული იქნება, ემოციური არასტაბილურობისა და თავდაჭერის ნაკლებობის ფონზე ნებისმიერ დონეზე, გნებავთ სამთავრობო სტრუქტურებში, ცალკეულ ოჯახებში, ან თუნდაც პარტიებს შორის ძალიან დაიძაბება სიტუაცია, რაც შეიძლება გახდეს სერიოზული უსიამოვნების ფაქტორი. ვერც ფინანსური კუთხით გეტყვით, რომ ლარს ეშველება რამე წლის ბოლომდე. საკმაოდ დაიძაბება სიტუაცია და ამ ნერვებმოშლილ ხალხს სანერვიულო დაემატება, რაც ნამდვილად მოსალოდნელია.

რომ გთხრათ, ეს იქნება კატასტროფა, რასაც მოჰყვება ომი ან რევოლუცია, ამ დონეზე არა, თუმცა დაძაბულობა უდავოდ იქნება. დეკემბრის ბოლოს საკმაოდ დაძაბული ვითარება გველის. ამიტომ 16 რიცხვამდე, მათ შორის მთავრობას ეძლევა იმის შესაძლებლობა მეტ-ნაკლებად, ჯერ კიდევ შედარებით მშვიდ ვითარებაში, მოაგვაროს ძირითადი, საჭირბოროტო რუსეთის საკითხები. მთავრობას მაქსიმალური თავდაჭერა მართებს, ფრთხილი დიპლომატია და ასე შემდეგ. როდის ვამბობდი, რომ 2014 წელს უკვე ივერიის გაბრწყინების წელიწადი მოდიოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მთავრობა მზად არ აღმოჩნდა ამისთვის და ხელიდან გავუშვით საკმაოდ კარგი ეტაპი საწყისი გაბრწყინებისა. ამიტომ ახლა საკმაოდ დიდხანს გაჯანჯლდება უკვე სასიკეთო პროცესებისკენ მიმავალი გზები. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ჯანყარაშვილის 3-მილიონიანი სკანდალი — შავლიაშვილი, ცაბუტაშვილი, ხოკრიშვილი — ბუღალტერი დუმილს არღვევს




გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ყოფილი მთავარი ბუღალტერი ყოფილ ხელმძღვანელსა და ზვიად ჯანყარაშვილს ადანაშაულებს – ამის შესახებ განცხადება, თამარ ფხოველიშვილმა საქალაქო სასამართლოში, ბრალდებულის სახით დაკითხვისას გააკეთა. ბრალდებული თამარ ფხოველიშვილი აცხადებს, რომ დანაშაულებრივ სქემაში, რომელსაც კომპანიის მაშინდელი ხელმძღვანელი არჩილ ცაბუტაშვილი კურირებდა, მწვანე შუქი ზვიად ჯანყარაშვილისგან ჰქონდა.

ბრალდებულის სახით დაკითხვისას განაცხადა და აღნიშნა, რომ ცაბუტაშვილმა რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის გვარიც ახსენა, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ცაბუტაშვილი ყოფილი მინისტრების, ელგუჯა ხოკრიშვილისა და დავით შავლიაშვილის ახლო მეგობარია. მისი თქმით, გარემოს დაცვის სამინისტროსა და წყალმომარაგების კომპანიას შორის კადრები სწორედ მათთან შეთანხმებით იცვლებოდა.

რაც შეეხება უშუალოდ დანაშაულის თემას, როგორც თამარ ფხოველიშვილმა დაკითხვისას აღნიშნა, წყალმომარაგების კომპანიის ფინანსურმა დირექტორმა, კახა სოლოღაშვილმა მოამზადა სქემა, რომლის მიხედვითაც, გარკვეული თანხები იმ ანგარიშზე უნდა გადარიცხულიყო, რომელიც კომპანიას აღარ ეკუთვნოდა. როგორც ფხოველიშვილმა თქვა, ცაბუტაშვილმა მას უთხრა, რომ გადარიცხული თანხების 20 პროცენტი მისი იქნებოდა, 80 პროცენტი კი მას ცაბუტაშვილთან უნდა მიეტანა. თამარ ფხოველიშვილის მტკიცებით, კომპანიიდან მითვისებული 3 მილიონამდე ლარიდან 1 700 000 ლარი დახარჯული აქვს არჩილ ცაბუტაშვილს. მიცემულ ჩვენებაში ფხოველიშვილმა თავი წარდგენილ ბრალდებაში ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ჯგუფური დანაშაული არა იმ პირებთან ერთად ჩაიდინა, რომლებიც ამ საქმეზე ბრალდებულები არიან, არამედ ცაბუტაშვილთან და სოლოღაშვილთან, რომლებმაც უშუალოდ სქემაში მონაწილეობა შესთავაზეს. (პირველი რადიო)

# „მანიაკი თუ არ ხარ, შეიძლება ვინც დაგირეკავს ყველას სისხლზე ელაპარაკებოდე, თან ამდენს?“ — დღის ფრაზები და შეფასებები

არავინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იქნება ქვეყანაში დღის მთავარი თემა ფარული აუდიოჩანაწერების გამოქვეყნება. გთავაზობთ დღის ფრაზებსა და შეფასებებს, თუმცა, ალბათ, თავშივე უნდა ვაღიაროთ, რომ დღის ფრაზა, თავისი პოპულარობით, სწორედ მიხეილ სააკაშვილის ნათქვამია ჩანაწერებიდან: „სტო პრო“ სისხლისღვრა იქნება, ქინძი ვიყო!“

**ნიკა გვარამია, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი:**

– რაც შეეხება უშუალოდ ჩანაწერს, მე არ ვადასტურებ ამ ჩანაწერების ავთენტურობას იმ თვალსაზრისით, რომ ეს ნამდვილად ჩემი ხმაა. მე მიყოლებით ასეთი შინაარსი არ მახსოვს, არ მახსენდება და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩანაწერი არ არის უწყვეტი, არის დამონტაჟებული. რაც შეეხება ჩემს საუბარს. რა თქმა უნდა, მე მქონდა საუბარი მიხეილ სააკაშვილთანაც და არა მხოლოდ მასთან იმასთან დაკავშირებით, რომ მჭირდება კომპეტენტური ადამიანების აყვანა დაცვაში, ვინც საჭიროების შემთხვევაში კომპანიას დაიცავს არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების შემოტევებისგან, არამედ ე.წ. ტიტუშკების შემოტევებისგანაც, რაც ზუსტად ვიცოდით, რომ იგეგმებოდა.

**თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი:**

– უკრაინამ და მისმა ხელმძღვანელობამ ღიად დაინახა, რომ საქართველოდან წასული ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც უკრაინის ერთ-ერთი გუბერნიის ხელმძღვანელია, საქართველოს წინააღმდეგ ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებს. მისი მიდგომა არის ძალადობა – ოღონდაც კი გაზარდონ შანსები ხელისუფლებაში დაბრუნების, „ნაციონალური მოძრაობა“, მისი ხელმძღვანელობით, მზად არის და არ მოერიდება იმას, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში სისხლისღვრას. რა თქმა უნდა, ამაზე უკრაინის პრეზიდენტმა და ხელმძღვანელობამ უნდა გააკეთოს რეაგირება.

**პაატა ქურდაძე, მწერალი, დოკუმენტალისტი:**

– ისე, მართლა, ხუმრობის გარეშე. რა მნიშვნელობა აქვს, ლეგალურია ჩანაწერები თუ არა. კი, ბატონო, თუ გნებავთ, იყოს არალეგალური, ხოლო, ის ვინც ჩაიწერა და გაუშვა დამნაშავე... მაგრამ მანიაკი თუ არ ხარ, შეიძლება ვინც დაგირეკავს, ყველას სისხლზე ელაპარაკებოდე, თან ამდენს? ბოლო-ბოლო ნოსფერატუ ხარ თუ ადამიანი? მართლა ამოვიდა, რა, ყელში. შეამოწმეთ, იქნებ ოდესის ქუჩებში დღისით მხოლოდ მისი ორეული დარბის, თვითონ კი კუბოში სძინავს, დახურულდარაბებიან, მტვრიან, უსარკო დიდ ოთახში...

**კახა კალაძე, ენერგეტიკის მინისტრი:**

– დღეს საქართველოში ვერავინ გაბედავს გადატრიალებას, მაგ ადამიანებს შეუძლიათ, ჩაიკეტონ თავიანთ ოთახებში და იკოტრიალონ, რამდენიც უნდათ.

**თამარ ჩერგოლეიშვილი, ტელეკომპანია „ტაბულას“ დირექტორი:**

– გავიგეთ, ვიცით, უკვე სამი წელია სააკაშვილი საჯაროდაც და პირად საუბრებშიც ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი არჩევნების გზით ძალაუფლებას არ დათმობს.

მე ვფიქრობ, რომ სწორედ არჩევნების გზით დავათმობინებთ ძალაუფლებას.

რომელი ვარაუდია სწორი, ამას მომავალი გვიჩვენებს – ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ.

მაგრამ სააკაშვილი ივანიშვილზე რას ფიქრობს, არის მეასეხარისხოვანი.

**სალომე ზურაბიშვილი, საგარეო საქმეთა ექსმინისტრი:**

– სააკაშვილის საუბრები! – შეურაცხადი რომ იყო, ეს ვიცოდით და ამაში არაფერია ახალი, გარდა იმისა, რომ უკრაინელები ჯერ ვერ მიუხვდნენ და არ ესმით მათ, ასეთ ადგილას ასეთი ადამიანის დიდხანს დატოვება რამდენად სახიფათოა მათთვის! (თუმცა ზოგმა ქართველმაც ჯერ ვერ გაიგო ეს ელემენტარული ჭეშმარიტება). როგორც ჩანს, ამ საუბრებიდან, რუსებმაც დაიწყეს მისი ხელახლა გამოყენება (მას რომ ჰგონია, რომ რუსეთსა და ამერიკას „ათამაშებს“ და სინამდვილეში მათი მარიონეტია) და არავინ იცის, რუსეთის არხებზე გახმაურებული საუბრები როგორ იქნება კრემლის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული, მეტადრე რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების ტრაგედიის შემდეგ!

ამას რომ მოჰყვა „ნაციონალური მოძრაობის“ რიგებში რღვევები, ეს გასაგებია: ვის უნდა, რომ წასული ლიდერის ხუშტურების გამო თვითონ აღმოჩნდეს სახიფათო მდგომარეობაში და დაჰბრალდეს სახელმწიფო წესრიგის დარღვევისკენ მიმართული განცხადებები! ანუ „ნაციონალური მოძრაობა“ მიშამ რეალურად გაანადგურა!

ყველაზე საინტერესო და ახალი ამ ყველაფერში მაინც ბიზნესწილებზე გაკეთებულ კომენტარები მეჩვენება!

ხელისუფლების ადგილას სასწრაფოდ დავიწყებდი გამოძიებას (რაღას უნდა ველოდოთ!) და ამ ფირების საფუძველზე შვეიცარიას ვთხოვდი რამდენიმე ანგარიშის გახსნას!



**ეკა გიგაური, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი:**

– მოკლედ ამ და წინა ჩანაწერებიდან გავიგეთ შემდეგი (რაც, პრინციპში, ვიცოდით კიდეც):

1. ოდესის გუბერნატორი ინსტრუქციებს აძლევს თავისი ყოფილი პარტიის ლიდერებსა და მედიასაშუალების დირექტორს და ისინი რომც არ ეთანხმებოდნენ, უარს არაფერზე არ ეუბნებიან. ნუ ეს ბელადომანია, ზოგადად, ვერ მოვიცილეთ.

2. ოდესის გუბერნატორი „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს არაფრად არ აგდებს და თუ დასჭირდა, ყველას გააყრევინებს სამსახურიდან. ნუ, ყველას გვახსოვს, ადრე როგორ „ზრუნავდა“ საქართველოში პლურალისტურ მედიაგარემოზე და ახლაც ხომ ეს ყველაფერი ძალიან „ადარდებს“.

3. ოდესის გუბერნატორი ისე ლაპარაკობს სისხლისღვრაზე, თითქოს არც არაფერია, ეტყობა, ძალიან „ნერვიულობს“ დესტაბილიზაციაზე.

ისე კი, ორივე მხარის გასაგონად უნდა ითქვას, იმათთვისაც, ვინც იწერს და ავრცელებს და იმათთვისაც, ვინც ლაპარაკობს: „ის, რაც ზნეობრივად მცდარია, ვერასოდეს იქნება პოლიტიკურად მართებული“ (აბრაამ ლინკოლნი).

**რომან გოცირიძე, ეკონომიკურ საკითხთა ექსპერტი:**

– კიდევ და კიდევ ავრცელებენ რაღაც ჩანაწერებს. იურიდიულად მათი ფასი ნულის ტოლია, რაც შეეხება მორალურ თემებზე ადამიანების აგდებას, ეს უზნეობაა!

ერთი დავფიქრდეთ, თვითონ ჩვენ როგორ და რა თემებზე ველაპარაკებით ახლობლებს, ნაცნობებს, პოლიტიკურ თუ საქმიან პარტნიორებს. „ჩემი ცოლის დაქალებში“ რომ არ მოგვწონს, როგორ იგინებიან, ჩავიწეროთ და მოვუსმინოთ საკუთარ თავს თუნდაც ერთი დღის განმავლობაში.

ნურავინ იფიქრებს, რომ ვინმე დაცულია მსგავსი საუბრების გამომზეურებისგან, მათ შორის დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც. იქნება, ალბათ, საპასუხო და არა ნაკლები. და უნდა ვუყუროთ ამ სეირს?

მე მყარი ნერვები მაქვს და დიდი გამოცდილება. ეს თქვენ იკითხეთ, ვისაც მსგავსი რამ გიხარიათ. გეწყინებათ აუცილებლად!

ქინძი ვიყო!

მენცარიც! (ეს ისე, პოლიტბალანსის დასაცავად).

**გიორგი ლობჟანიძე, პოეტი და მთარგმნელი:**

– რაიო, რაიო? – არ არი ავთენტურიო? ქინძს, აბა, როგორ იტყოდა, როცაა ნიახურიო? (kvirispalitra.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კი, კი, „ოცნებას“ ხალხის ნდობა ნამდვილად აღარ აქვს — არ იმსახურებს და იმიტომ, მაგრამ ამ „თავისუფალ დემოკრატებს“, სანათესაოს გარდა, სხვა ვინ მოგცემთ ხმას?



ირაკლი ალასანიას განცხადებით, პარლამენტის შუალედურმა არჩევნებმა დაადასტურა, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ ხალხის ნდობა არის ძალიან დაბალი. როგორც ალასანიამ განაცხადა, „თავისუფალი დემოკრატები“ იქნება ახალი და ალტერნატიული ძალა, რომელიც რეალურად მოიპოვებს ხალხის მხარდაჭერას 2016 წელს.

– შედეგებს თუ დავაკვირდებით, პოლიტიკური შეფასება შემიძლია გავაკეთო, რომ ძალიან უჭირს კოალიციას.

პრაქტიკულად, მათ მიმართ ხალხის ნდობა არის ძალიან დაბალი, ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ალტერნატიული ძალა იქნება „თავისუფალი დემოკრატები“, ვისაც მიეცემა შანსი, 2016 წელს რეალურად მოიპოვოს ხალხის ნდობა, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მისივე თქმით, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ არსებული საარჩევნო სისტემის გამო შუალედურ არჩევნებზე მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

– „თავისუფალმა დემოკრატებმა“ შუალედურ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო, რადგან ჩვენ ვთვლით, რომ საარჩევნო სისტემა უნდა შეიცვალოს. უნდა იყოს უფრო სამართლიანი, – განაცხადა ალასანიამ. (ნიუპოსტი)

**ერთად დავითვალოთ წიწილები შემოდგომაზე — რომელი პარტია რამდენ ხმას მიიღებს, დიდი სიამოვნებით დავითვლით და გავაშუქებთ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## აბსოლუტურად მართალია პრემიერი — სააკაშვილის ადგილი ციხეშია, მაგრამ რას აკეთებს ამისთვის „ქართული ოცნება“, „შუსუსუ“, „პრაკურატურა“?!



– მე რომ მკითხოთ, მიხეილ სააკაშვილის ადგილი ციხეშია, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ესტონელ კოლეგასთან, ტაავი რიივასსთან ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე.

– არ ვაპირებ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატირებას და ამ თემაზე არ ვაპირებდი აქ საუბარს... მიხეილ სააკაშვილი საქართველოში რევოლუციურ გადატრიალებას აპირებდა და ამის დამადასტურებელი ჩანაწერები დაიდო კიდეც უკრაინულ საიტზე. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, რომ მიხეილ სააკაშვილის ადგილი ქართულ პოლიტიკაში არ არის. მე რომ მკითხოთ, მისი ადგილი ციხეშია, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

**ეგ რა თქვით, ბატონო პრემიერო — „არ ვაპირებდი ამ თემაზე საუბარსო“, შეიძლება ამის თქმა და ასეთი შანსის არგამოყენება?! ზუსტადაც, რომ ევროპელებს უნდა ელაპარაკოთ მიშასა და „ნაც“ ჩინოვნიკთა დანაშაულებზე, თანაც გაუთავებლად უნდა ელაპარაკოთ. მით უმეტეს, ესტონეთის პრემიერს — სადღაც ერთი თვის წინ მაგათ არ დაიჭირეს ტალინის მერი კორუფციის ბრალდებით? ჰოდა, იქნებ ჭკუის დარიგების ნაცვლად, მაგ ევროპელს მაინც ეთქვა, რომ დიახ, დასაჭერი უნდა დაიჭიროთ და დასაკოდი უნდა დაკოდოთო?**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აუ, დედას გაფიცებთ, ბატონო ვიცე-პრემიერო, ერთხელ გამართეთ სპეციალური პრესკონფერენცია, სადაც ჩამოთვლით ყველაფერს, მაინც რა გაკეთდა ამ 3 წლის მანძილზე, თორემ გვგონია, რომ დავბრმავდით!



– 3 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა ღიად უნდა ვთქვათ, რომ ქვეყანაში მაინც ძალიან ბევრი პრობლემაა, – ასე გამოეხმაურა ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას.

კახა კალაძე მიიჩნევს, რომ შუალედური არჩევნებიდან გამომდინარე, „ქართულ ოცნებას“ ძალიან კარგი შედეგები აქვს.

– მე ვფიქრობ, ამ 3 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა, თუმცა, ღიად უნდა ვთქვათ, რომ ქვეყანაში მაინც ძალიან ბევრი პრობლემაა, ძალიან უჭირთ სოციალურად ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს. ყველაზე დიდი პრობლემა არის სამუშაო ადგილები, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში დაახლოებით 90 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. ეს ზღვაში წვეთია. ამ მიმართულებით ძალიან ბევრია სამუშაო. თუმცა შუალედური არჩევნებიდან გამომდინარე, მინდა გითხრათ, რომ ძალიან კარგი შედეგი იყო. მაგალითად, მარტვილში 72 პროცენტი აიღო კოალიციის კანდიდატმა, საგარეჯოს რაც შეეხება, ჩვენ წინასწარ ვიცოდით, რომ აქ გარკვეული პრობლემები იქნებოდა, – განაცხადა კალაძემ.

1-ელ ნოემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტის შუალედურ არჩევნებს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ საგარეჯოს არჩევნებიდან რამდენიმე მკაფიო გზავნილი მიიღო.

– თუ მანამდე თავად ვერ შევიცვლებით, ერთი წლის შემდეგ ამომრჩეველი შეგვცვლის, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შევთანხმდეთ ყველაფერზე და დავიწყოთ იმის კეთება, რაც ვიცით, რომ გასაკეთებელი გვაქვს კოალიციაშიც და პარტიებშიც, – აცხადებს დავით უსუფაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

**„კაკრაზ“ საგარეჯოს არჩევნები გახდება „ქართული ოცნების“ რყევის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი. ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ნამდვილად ასე ჩანს და ალბათ, არც მეორე, მესამე და ორმოცდამეერთე შეხედვა შეცვლის რამეს — ცემა, ტყეპა, პოლიციისა და ვიღაც კუნთმაგარი ტიპების მივარდნები უბნებზე, დედის გინება, წყევლა — ჰო, გზავნილი სერიოზულია, ოღონდაც ხალხისთვის — არჩევნებს რაც ეხება, საქართველოში არაფერი შეცვლილა. თუმცა ვერც სხვა რამის სასიკეთო ცვლილებას ვგრძნობთ და დავიჯეროთ, ასეთი დაუნახავები ვართ, კაცო? გამოდით, დათვალეთ, რა გააკეთეთ. უფრო სწორად, ერთად დავთვალოთ და გავარეკლამოთ „ალია“-„ქრონიკაში“ აბა, რა მიღწევები გაქვთ...**

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# დემურ გიორხელიძე: „ეს ყველაფერი ხომ ძალიან კარგად იცის ხელისუფლებამ? სად არის პარლამენტი, რას აკეთებს, რა ხდება საერთოდ, რატომაა გაჩუმებული ყველა?“

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61





**საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სკანდალურ ინტერვიუს აქვეყნებს – გიორგი ქადაგიძის თქმით, ლართან დაკავშირებული პრობლემის ფუნდამენტური მოგვარების შემთხვევაში, ჩვენ, პრინციპში, შეგვიძლია, კურსის ადრინდელ დონეზე დაბრუნება.**



**„თუ ამ ინდექსების იმედი აქვს ჩვენს მთავრობას, მაშინ უფრო ძალიან ცუდად გვქონია საქმე“**

რუსული გამოცემა „ვლასტი“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სკანდალურ ინტერვიუს აქვეყნებს – გიორგი ქადაგიძის თქმით, ლართან დაკავშირებული პრობლემის ფუნდამენტური მოგვარების შემთხვევაში, ჩვენ, პრინციპში, შეგვიძლია, კურსის ადრინდელ დონეზე დაბრუნება. კი, მაგრამ იყო თუ არა ფუნდამენტურად მოგვარებული ლართან დაკავშირებული პრობლემა 2012 წლამდე და კონკრეტულად რა უნდა მოგვარდეს ამის შემდეგ? ამ შემთხვევაში ქადაგიძე ისევ ლირიკას მიმართავს და რუსულ გამოცემასთან ამტკიცებს, რომ თურმე რეალურად უნდა გავზარდოთ ჩვენი შემოსავლები ექსპორტის, ტურიზმის, ინვესტიციების საშუალებით, ანუ რაც მეტს გამოვიმუშავებთ – უკეთ ვიცხოვრებთ. ცოდო არ არის, რომ ასეთი მოაზროვნე მხოლოდ ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ფუჭდება? მეტიც, ქადაგიძე ამბობს, ცხოვრება მშვენიერია, თუ ჩვენ შევძლებთ მოვიზიდოთ 1,5 მილიარდი დოლარის პირდაპირი ინვესტიციები, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი საგადამხდელო ბალანსი დაბალანსებულია და არ არის არავითარი ზეწოლა კურსზე. გამოდის, თუ ჩვენ 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ზაფხულამდე გვექნებოდა 1,5 მილიარდი დოლარი, ასეთ მძიმე მდგომარეობაში არ ჩავცვივდებოდით, მაგრამ, მისი აზრით, პრობლემა იყო შემდეგში:

**„დაეცა ექსპორტი რუსეთსა და უკრაინაში არსებული ვითარების გამო. გადარიცხვების მოცულობა რუსეთსა და საბერძნეთში არსებული მდგომარეობის შედეგად შემცირდა. საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ ძალიან დოლარიზებულია. ყველაზე პოპულარული და ყველაზე არასწორი მეთოდია, მოითხოვო, ცენტრალური ბანკი ჩაერიოს და თავისი რეზერვები დახარჯოს. ეს საერთოდ არაეფექტურია, რასაც ადასტურებს არა მხოლოდ მრავალწლიანი მსოფლიო ეკონომიკური ისტორია, არამედ ჩვენი მეზობლების მაგალითები — იმ ქვეყნებმაც კი, რომლებიც გაცილებით მდიდრები არიან საქართველოზე ენერგომატარებლების ექსპორტის გამო, მრავალმილიარდიანი ინტერვენციების შემდეგ მაინც მოახდინეს ვალუტების დევალვაცია. როცა საუბარია ფუნდამენტურ დისბალანსზე, რეზერვების ხარჯვა დიდი უაზრობაა. ჩვენ ამას ვერ დავუშვებდით. დღეს საქართველოს ვალები „არ ახრჩობს“, არ არის პრობლემა რეგულაციის თვალსაზრისით, არის ბიზნესკლიმატის კარგი მაჩვენებლები, მაღალი ანტიკორუფციული ინდექსი და არსებობს ყველანაირი პირობა ქვეყნის განვითარებისთვის. თუ ჩვენ შევძლებთ მომავალი 10 წლის განმავლობაში გავიმეოროთ ის წარმატება, რომელიც ბოლო 15 წლის განმავლობაში გვქონდა, მივიღებთ წარმატების კლასიკურ ისტორიას“.**

**როგორც ეკონომიკის ექსპერტი, დემურ გიორხელიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ქადაგიძე არის კლასიკოსი თაღლითი:**

– დიახ, მხოლოდ დიდი თაღლითი თუ გააკეთებდა ასეთ განცხადებას!

**— ბატონო დემურ, კონკრეტულად მითხარით, რატომ არის გიორგი ქადაგიძე თაღლითი?**

– გამოდის, ყველაფერი მოგვარებულა, უამრავი ინვესტიცია შემოსულა, ბიზნესმენები მორბიან, ტომრებით მოაქვთ ფული, ქვეყანაში გაჩენილა შემოსავლები, სრულად აბალანსებს 8-მილიარდიან მასას, ლარი დასტაბილურებულა და ქადაგიძე აპირებს, კურსი ძველ ნიშნულზე დააბრუნოს. კი, მაგრამ სააკაშვილის დროს რომ ხელოვნურად დაიჭირეს ლარის კურსი და ამან უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკის განვითარებაზე, ფაქტობრივად რომ ფული მიუწვდომელი გახადეს, კარგი იყო? მაინტერესებს, ქადაგიძე სადამდე აპირებს კურსის ჩამოწევას, 1,42-ზე ხომ არა? ისე, მივმართავ ამ ჩამოყალიბებულ თაღლითს: 10 შაური ხომ არ გაგვეხადა 1 დოლარი? ჩვენ ხომ ეკონომიკაში წარმატებული შუქურა ვართ და ძალიან მაგარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გვაქვს? რატომ არ უნდა გავხადოთ 1 დოლარი 10 შაური, რას იტყვით?

**— გავხადოთ, მე მაწყობს, მოსახლეობასაც აწყობს, მაგრამ თქვენ მეტყვით, რომ ამას მოჰყვება მორიგი კატაკლიზმები.**

– რა თქმა უნდა, ამით კიდევ ერთხელ მოვთხრით ისედაც მოთხრილ ეკონომიკას. ხელისუფლების სისუსტე იმაშიც მდგომარეობს, რომ იქ არ აღმოჩნდა ერთი ადამიანიც კი, რომელიც გააკეთებდა ანალიზს, რა მოხდა. ქადაგიძე არ არის ერთადერთი, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ დანაშაულში, უფრო მეტი ბრალი მიუძღვის საქართველოს პარლამენტს, რომელიც მიმართულებებს და მაკროეკონომიკურ პოლიტიკას ამტკიცებს. დღემდე არ არსებობს სცენარი, რომლის მიხედვითაც მონეტარული პოლიტიკა იქნებოდა განსაზღვრული მთელი წლის განმავლობაში. თავის ჭკუაზე მიშვებულმა ეროვნულმა ბანკმა თავისი პოლიტიკური თამაშებით შეძლო ის, რაც შეძლო. ქადაგიძე არღვევს კანონს, მისი საქციელი არ ჯდება საკანონმდებლო ჩარჩოში, თებერვლამდე საკმაო დროა და როგორც ჩანს, გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ მოიქნიოს კუდი და ლარის კურსი მკვეთრად დასწიოს უკან. თუ ვინმეს დღეს წარმოდგენა აქვს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე, ყველა მიხვდება, რომ საქმე გვაქვს ბლეფთან.

**— ბატონო დემურ, კონკრეტულად ამიხსენით, რასთან გვაქვს საქმე, ქადაგიძე ცდილობს, კიდევ ერთხელ გაგვითამაშოს რაღაც სცენარი და თებერვალში გაღიმებულები დაგვტოვოს? არ ვიცი, იქნებ ჩვენი გახარება აქვს გადაწყვეტილი?**

– ქადაგიძე ველარ გაგვახარებს, ჩვენი ეკონომიკა არ არის შესაბამისობაში მოყვანილი, ფული რჩება კვლავ ხელმიუწვდომელ რესურსად, საბანკო სექტორი კვლავ ფანტასტიკურ მოგებაზე გადის გაღატაკებულ ქვეყანაში. 2016 წელს სიღარიბე კიდევ უფრო მოიმატებს, ვერ შეიქმნება სამუშაო ადგილები, ფული ისევ დარჩება ოცნებად და ამ დროს ქადაგიძე ასეთ თავხედურ განცხადებებს აკეთებს. დღევანდელ ხელისუფლებას რის იმედი აქვს, სიმართლე გითხრათ, არ მესმის. ლარის კურსი უნდა გამყარდეს ეკონომიკური განვითარების ხარჯზე, სამუშაო ადგილების შექმნის ხარჯზე, წარმოების აღორძინების ხარჯზე და ასე შემდეგ. ახლა ქადაგიძეს ასე მოუნდა და სისულელეებს ლაპარაკობს, ეს უკვე არ ჯდება არანაირ ლოგიკაში!

**— ქადაგიძე საგარეო ფაქტორებზე ლაპარაკობს და ჩვენც ვიცით, რომ ამ მხრივ შეფერხებები იყო, თუნდაც ის, რომ უკრაინიდან, რუსეთიდან და საბერძნეთიდან გადმორიცხვები შემცირდა. მაგალითად, საბერძნეთიდან ლამის მთელი წლის განმავლობაში 50 ევროზე მეტს ვერ აგზავნიდნენ საქართველოში, ახლა 500 ევროს გამოგზავნა შეუძლიათ. გამოდის, რაღაც ნელ-ნელა დაიძრა.**

– უი, საგარეო ფაქტორები გამოსწორდა? გაუმჯობესდა რაიმე? აბა, რომელი გაუმჯობესდა? ააა... საბერძნეთმა გადმორიცხვები გახსნა ნაწილობრივ? ყოჩაღ, ქადაგიძე, აუუუ... ამაზე უკვე ვერაფერს ველარ ვიტყვი. აი, ამას იმიტომ ამბობს, რომ მაგ დონის სპეციალისტია, არც კი რცხვენია თავისი უვიცობის! ეროვნული ბანკი დღეს არის ჩაკეტილი სისტემა და ეს არის პარლამენტის ბრალი. ქადაგიძის მიზანი ძალიან მარტივია – ამ ხელისუფლების ძირის გამოთხრა ბოლომდე.

**— მაშინ ეს ხელისუფლება რატომ ათხრევინებს ძირს და ქათამივით ხალხს რატომ აკლავს ზედ?**

– ეს ადამიანი იყენებს ამ ხელისუფლების სისუსტეს და ეს სისუსტე გადაიზრდება შემდეგ რამეში: არ იქნება ეკონომიკური ზრდა, სიღარიბე გაიზრდება, დანარჩენი მერე უკვე ტექნიკის საქმეა. კი, სწორად ამბობს, საქართველოს ვალები არ ახრჩობს, მაგრამ ასეთი ეკონომიკის პირობებში ვალების ზრდის ტენდენცია ნამდვილად არის. ჰოდა, ყველა რომ ამ ინდექსებით მანიპულირებს, ამიტომ გვაქვს საქმე კარგად. როცა ქადაგიძე ინდექსებზე ლაპარაკობს, უნდა წაიკითხოს „ბლუმბერგის“ მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, სადაც ზუსტად ის წერია, რასაც ახლა მე ვამბობ. თუ ამ ინდექსების იმედი აქვს ჩვენს მთავრობას, მაშინ უფრო ძალიან ცუდად გვქონია საქმე.

**— ქადაგიძე რატომღაც ახსენებს კიდევ 10 წელს, რა ხდება, რამე გარიგება ხომ არ არსებობს, თებერვლის შემდეგ ისევ ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ხომ არ ტოვებენ?**

– მე არ ვიცი, ვის სად ტოვებენ, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: საკონსტიტუციო სასამართლომ ეროვნული ბანკის საბჭო დატოვა იგივე შემადგენლობით, როცა საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს შეუჩერა უფლებამოსილება. ახლა როგორ ფიქრობთ, ეს საბჭო ქადაგიძეს თუ არ დატოვებს, „ქადაგიძე 2“-ს ხომ მაინც აირჩევს? მით უმეტეს, შემდეგი პრეზიდენტი უნდა დაამტკიცოს მარგველაშვილმა. ხედავთ, სადამდე მივდივართ? ეს ყველაფერი ხომ ძალიან კარგად იცის ხელისუფლებამ? სად არის პარლამენტი, რას აკეთებს, რა ხდება საერთოდ, რატომაა გაჩუმებული ყველა? თუ ასე გაგრძელდა, 10 წლის შემდეგაც უარესი მდგომარეობა იქნება, შევადაროთ 10 წლის წინანდელი პერიოდი და დღევანდელობა, მაშინაც სიღარიბის დაძლევაზე ვლაპარაკობდით და ახლაც იგივე თემაზე გვიწევს საუბარი.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ღარიბაშვილს რომ ჰკითხო, ეკონომიკა გვაქვს ისეთი, მტერს თვალებს დაუფსებს, აი, ქადაგიძე კი ასეთ აზრზეა...



– ლარის გაუფასურების პროცესი ძალიან მტკივნეული იყო, თუმცა მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით, საგადასახადო ბალანსის შოკი გადალახულია, კურსი დასტაბილურდა, – ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ რუსულ „კომერსანტთან" ინტერვიუში ისაუბრა.

– ბოლო კვირების განმავლობაში ლარი დასტაბილურდა. კურსი რეალურად ასახავს იმას, რაც ეკონომიკაში ხდება. ვფიქრობ, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ ფსკერს, – განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

მისივე თქმით, ლართან დაკავშირებული პრობლემის ფუნდამენტური გადაჭრა ქვეყნის შემოსავლების ზრდა არის. გიორგი ქადაგიძის განცხადებით, საქართველომ უნდა გაზარდოს შემოსავლები ექსპორტის, ტურიზმის, ინვესტიციების მხრივ.

– რაც უფრო მეტს გამოვიმუშავებთ, მით უკეთ ვიცხოვრებთ. თუ ეს მოხდება, მაშინ, პრინციპში, შეგვიძლია კურსის ადრინდელ დონეზე დაბრუნება, – აღნიშნა გიორგი ქადაგიძემ.

კითხვაზე, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება წინა მთავრობის „ხელდასხმულად" მოიხსენიებს და ადანაშაულებს, რომ „ნაციონალური" რეზერვები შეგნებულად არ დახარჯა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ყველაზე პოპულარული და არასწორი მეთოდია მოითხოვო, რომ ეროვნული ბანკი ჩაერთოს და საკუთარი რეზერვები დახარჯოს.

– ეს ძალიან არაეფექტურია, რასაც ადასტურებს არა მხოლოდ მრავალწლიანი მსოფლიო ეკონომიკური ისტორია, არამედ ჩვენი მეზობლების მაგალითები – იმ ქვეყნებმაც კი, რომლებიც გაცილებით მდიდრები არიან საქართველოზე ენერგომატარებლების ექსპორტის გამო, მრავალმილიარდიანი ინტერვენციების შემდეგ მაინც მოახდინეს ვალუტების დევალვაცია, რადგან როცა საუბარია ფუნდამენტურ დისბალანსზე, რეზერვების ხარჯვა დიდი უაზრობაა. ჩვენ ამას ვერ დავუშვებდით და არც გაგვიკეთებია ეს, – განაცხადა გიორგი ქადაგიძემ რუსულ „კომერსანტთან" ინტერვიუში.

მისივე თქმით, საქართველოს ვალები არ ახრჩობს და რეგულაციის თვალსაზრისით, პრობლემები არ აქვს. გიორგი ქადაგიძის განცხადებით, ყველა აუცილებელი პირობა არსებობს ქვეყნის განვითარებისთვის და ამიტომ წლის ბოლოს, ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს მცირე ეკონომიკური ზრდა – 3 პროცენტი ექნება, ინფლაცია კი დაახლოებით 5 პროცენტს შეადგენს.

– ანუ მაკროეკონომიკური მდგომარეობის მხრივ, ყველაფერი კარგად გვაქვს, მაგრამ ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაოთ ინვესტიციების მოსაზიდად, სამუშაო ადგილების შესაქმნელად, ეკონომიკის პროდუქტიულობის გასაზრდელად. თუ ჩვენ შევძლებთ მომავალი 10 წლის განმავლობაში გავიმეოროთ ის წარმატება, რაც ბოლო 15 წლის განმავლობაში გვქონდა, წარმატების კლასიკურ ისტორიას მივიღებთ – როგორ იქცა ღარიბი ქვეყანა 20 წელიწადში საშუალო ეკონომიკის მქონე ქვეყნად, – განაცხადა გიორგი ქადაგიძემ. (bpn.ge)

**ბოლო 15 წლის განმავლობაში ისეთი წარმატებები გვქონდა, მეზობლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მთელი მსოფლიო ჩვენ შემოგვნატროდა, მაგრამ წავიდა სააკაშვილის ხელისუფლება და აგე, რა ქაქში აღმოვჩნდით, — სიამოვნებით იტყოდა ქადაგიძე ამ წინადადებასაც, მაგრამ დაიმორცხვა ეტყობა...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## SOS!!! არ შეიძინოთ ეს პროდუქტი, რომელიც სიმსივნეს იწვევს!




ეს პოსტი ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა დადო და შემდეგ ბევრმა გააავრცელა. როგორც ქალბატონი ამბობს, ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო ქსელში დაინტერესდა სასალათეთი, რომლის ყიდვაც უნდოდა. მაგრამ რაც მასზე ეწერა, ამან ისე შეაშფოთა, ფოტო გადაუღო და სოციალური ქსელით გაავრცელა. აი, მისი პოსტიც:

– SOS!!!!! ეს მაღაზიაში გადავიღე, გაგიკვირდებათ, რა იყო აქ გადასაღები ან დასაპოსტი. ვინც ინგლისური იცით, აუცილებლად წაიკითხეთ და მერე თქვენ გადაწყვიტეთ, უნდა შეიძინოთ ეს ნივთი თუ არა. სამზარეულოს აქსესუარებში უდევთ, მეც ვიფიქრე, 3-4 ცალს ვიყიდი სასალათედ-მეთქი. აი, როდესაც წავიკითხე მისი შემადგენლობა, სასწრაფოდ სანიტარიული სითხე წავისვი, ბევრს აღარ გავაგრძელებ და გადაგითარგმნით, ვინც ვერ მიხვდით: „ის შეიძლება შეიცავდეს ისეთ ქიმიურ ნივთიერებას, რომელმაც, კალიფორნიის შტატის ინფორმაციით (როგორც ცნობილია), გამოიწვია სიმსივნე, მშობიარობის დეფექტები და სხვა მსგავსი ზიანი. დაიბანეთ ხელი მისი ხელში აღების შემდგომ". – ეს არის ძირითადი შინაარსი. სამწუხაროა, როდესაც მსგავსი ნაგავი გასაყიდად დევს, თან სამზარეულოს აქსესუარებში. ამ იარლიყის აცლის უფლება არ აქვთ, ვინც წაიკითხავს, არ გაეკარება, ვინც არა – კისერიც გიტეხიათო რააა... (mshoblebi.ge)

## უკაცრავად კი ვართ, მაგრამ ვინ ეკითხება ამერიკას, როგორ სტატუსს მიანიჭებს უკრაინა საკუთარ ტერიტორიულ ერთეულს?!



ოფიციალურმა კიევმა დონბასს განსაკუთრებული სტატუსი უნდა მიანიჭოს. „ბიბისის" ინფორმაციით, ეს განცხადება აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ტელეკომპანია „მირ"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. ასევე, კერიმ მინსკის სამშვიდობო შეთანხმების შესრულებისა და კონფლიქტის ზონიდან მძიმე შეიარაღების გაყვანის აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი თქმით, მინსკის შეთანხმების შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მოხსნა.

ჯონ კერის თქმით, არჩევნები უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში უკრაინის კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ჩატარდეს, ხოლო საარჩევნო პროცესში საერთაშორისო დამკვირვებლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

უკრაინაში ადგილობრივი არჩევნები 25 ოქტომბერს ჩატარდა. დონეცკისა და ლუგანსკის თვითაღიარებული რესპუბლიკების ლიდერებმა კი განაცხადეს, რომ არჩევნები აღნიშნულ ტერიტორიებზე მომავალ წელს ჩატარდება. (ინტერპრესნიუსი)

**ვაღიარებთ, ვიცით, რომ მოძველებული კითხვა დავსვით — ყველა დიდი სახელმწიფო რომ უხეშად ერევა პატარა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში, ჩვენც იმდენჯერ გამოვცადეთ საკუთარ თავზე უკვე, რომ ეეჰ...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## აუხ, ჩაგვაცვით შავები! და კალაძეს შეაპარეთ, პირდაპირ ნუ აჯახებთ...




Platts-ის ვერსიით, მსოფლიოს ენერგოკომპანიათა რეიტინგში, რომელშიც მსოფლიოს ტოპ 250 უმსხვილესი კომპანიის მაჩვენებლებია მოცემული, „გაზპრომმა" მეათედან 43-ე ადგილზე გადაინაცვლა.

2014 წლის შემაჯამებელი ანგარიშების თანახმად, „გაზპრომი" ტოპათეულში შედიოდა, ხოლო 2015 წლის ანგარიშებით, ათეულში მხოლოდ ერთი რუსული კომპანია „როსნეფტი" შედის. გასულ წელს „როსნეფტი" მეექვსე ადგილს იკავებდა. 2015 წლის მაჩვენებლებით, ყველა რუსული კომპანიის შედეგები გაუარესებულია, გამონაკლისია მხოლოდ „სურგუტნეფტეგაზი", რომელმაც 18-ე ადგილიდან 12-ე ადგილზე გადაინაცვლა. „ლუკოილმა" მე-11 ადგილიდან მე-13 ადგილზე გადაინაცვლა. „ტატნეფტმა" – 48-დან 64-ზე, ხოლო „ტრანსნეფტმა" – 29-დან 83-ზე.

უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი მაჩვენებელი დააფიქსირა ბრიტანულმა კომპანია „ბრიტიშ პეტროლეუმმა", რომელმაც მე-2 ადგილიდან 29-ე ადგილზე გადაინაცვლა. მსოფლიოს ყველაზე მსხვილ და უძლიერეს კომპანიებად დღეს ExxonMobil, Chevron და ღოყal Dutch Shell რჩებიან.

Platts-ის გამოქვეყნებული წამყვანი ენერგოკომპანიების რეიტინგი დაფუძნებულია კომპანიათა ფინანსურ შედეგებზე ერთობლივი აქტივებით, რომელიც 5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ნავაჭრის, მოგების, შემოსავლიანობისა და ჩადებული კაპიტალის რაოდენობასთან ერთად განისაზღვრება. Platts-ი ამერიკული საინფორმაციო სააგენტოა, მისი პუბლიკაციები სპეციალიზებულია ნავთობის ფასის, ნავთობის პროდუქტების, ბუნებრივი აირის, საწარმოო ლითონების მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გაყიდვის ინფორმაციებზე.

ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „გაზპრომს" ბიუჯეტი 8 მილიარდ რუბლზე მეტით უნდა შეევსო. ენერგეტიკის სამინისტროს უარყოფის მიუხედავად, ბიუჯეტში მთელი მომავალი წლისთვის გათვალისწინებულია ნავთობზე საექსპორტო ბაჟის გაყინვა და „გაზპრომისთვის" სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე გადასახადის ზრდა. (bpn.ge)

## 1481 — სახალხო დამცველის აპარატში ცხელი ხაზი ამუშავდა



2015 წლის ნოემბრიდან სახალხო დამცველის აპარატში პირველად ამუშავდა ცხელი ხაზი სატელეფონო ნომრით – 1481. ცხელი ხაზი სახალხო დამცველის ახალი საპილოტე პროექტია, რომელიც მოქალაქეებს კომუნიკაციის ბევრად უფრო მოქნილ და ეფექტურ მექანიზმს სთავაზობს. ის ყოველდღიურად ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მოქალაქეებისგან მიიღებს ინფორმაციას სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებების მხრიდან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სავარაუდო დარღვევებზე, მათ შორის, წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტებზე.

ნებისმიერ პირს, ვინც თვლის, რომ თავად განიცდის წამებას და სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, აქვს სიცოცხლის მოსპობისა თუ ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე, ან დაექვემდებარა უკანონო დაკავებას, დაპატიმრებას თუ თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვას, აგრეთვე, ოჯახურ ძალადობას, ან არის ასეთი ქმედების თვითმხილველი, დაგვიკავშირდეს ცხელ ხაზზე.

ცხელი ხაზის ნომერზე – 1481 დარეკვა შესაძლებელია როგორც ადგილობრივი (სტაციონარული), ასევე, მობილური ოპერატორების ნომრებიდან. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## იმდენს ახსენებთ ამ ,,ფეესბეშნიკებს'', გასძვრებათ სული... თუმცა, უარესიც მოსვლიათ, მაგათი დამტირებლის!..



მომღერალი სოფო ნიჟარაძე მედიაში გავრცელებულ თითქოსდა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან მისი საუბრის ჩანაწერს „ფაბრიკაციას" უწოდებს.

აღნიშნულს მომღერალი სოციალურ ქსელში ეხმაურება, სადაც წერს, რომ გავრცელებული ჩანაწერით მათთვის ღირსების შელახვა და ქვეყნის ტალახში ამოსვრა სურთ.

– „ფსბ"-ს დამონტაჟებულ სიყალბეზე სერიოზული კომენტარის გაკეთება სრულ სისულელედ მიმაჩნია. გასაგებია, რის გაკეთებასაც ცდილობენ, უნდათ, ღირსება შეგვილახონ და რაც კიდევ უფრო მძიმეა, ტალახში ამოსვარონ ქვეყნის იმიჯი, – წერს მომღერალი.

რაც შეეხება ჟურნალისტ ნოდარ მელაძეს, სოფო ნიჟარაძის განმარტებით, ის მისი მეგობარია, რომელიც ძალიან უყვარს.

– ის არის საუკეთესო ჟურნალისტი. ამავე დროს ის ჩემი მეგობარია, მე ის მიყვარს და იმედია, ამ ფაბრიკაციამ არ შელახა მისი ღირსება! ვადასტურებ ჩემს სოლიდარობასა და მხარდაჭერას „რუსთავი 2"-ის მთელი კოლექტივის მიმართ, – აღნიშნავს სოფო ნიჟარაძე. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთის ტრანსპორტის მინისტრის განცხადებით, რუსული სამგზავრო თვითმფრინავი ჰაერში დაიშალა




რუსეთის ტრანსპორტის მინისტრის, მაქსიმ სოკოლოვის განცხადებით, რუსული სამგზავრო თვითმფრინავი „Airbus A 321" ჰაერში დაიშალა.

როგორც „რია ნოვოსტი" იტყობინება, ამის შესახებ სოკოლოვმა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრაზე განაცხადა.

პირველადი ვერსიით, ავიაკატასტროფა ტექნიკურმა გაუმართაობამ გამოიწვია, თუმცა ავიაკომპანია „კოგალიმავიაში" განაცხადეს, რომ თვითმფრინავის ჩამოვარდნის მიზეზი „გარე ზემოქმედება" გახდა.

რუსეთის ავიაციის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ავიაკატასტროფა შაბათს მოხდა. შარმ ელ-შეიხიდან სანქტ-პეტერბურგში მიმავალი სამგზავრო თვითმფრინავი „Airbus A 321" სინაის ნახევარკუნძულზე ჩამოვარდა. ბორტზე მყოფი 224 ადამიანი დაიღუპა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კიევის აეროპორტში, ძარცვაში ეჭვმიტანილი ქართველი დააკავეს




უკრაინული მედიის ცნობით, კიევის არეოპორტ „ჟულიანის" მესაზღვრეებმა კიევი-თბილისის რეისის მგზავრი, საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაციით, აეროპორტში საზღვრის გადაკვეთისას დაკავებული, 1981 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქე, უკრაინის მოქალაქეზე ძარცვის მიზნით თავდასხმის გამო, სასამართლოს გადაწყვეტილებით იძებნებოდა.

დაკავებული ქართველი, რომლის ვინაობაც არ სახელდება, კიეველ სამართალდამცავებს გადასცეს. (თაიმერი)

## კახა კუკავა: მარიხუანას მოხმარება პატიმრობით არ უნდა ისჯებოდეს



პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, მარიხუანას პირადი მოხმარებისათვის შეძენა/შენახვის გამო, 7-დან 12 წლამდე ვადით პატიმრობის შეფარდების არაკონსტიტუციურად მიჩნევის თაობაზე, დადებითად აფასებს.

„მე არ ვარ მარიხუანას მოხმარების პროპაგანდისტი. მიმაჩნია, რომ ეს არ არის კარგი საქციელი. დაახლოებით, იგივეა, რაც ლოთობა. მართალია, არც ეს არის კარგი, მაგრამ ლოთობის გამო რომ ადამიანი ციხეში ჩააგდო და მის ოჯახს ათასობით ჯარიმა გადაახდევინო, ეს მისი განადგურებაა", – განაცხადა კახა კუკავამ.

მისივე თქმით, ეს ის თემაა, რომელიც ათობით ათასი ადამიანის ინტერესებს ეხება.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დიდ ოდენობად ითვლება 50-დან 500 გრამამდე მარიხუანა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქმეზე მოწვეული მოწმეებისა და სპეციალისტების განმარტებები და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ოდენობა, 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანა, არ წარმოადგენს იმდენად დიდ ოდენობას, რომლის შენახვის ფაქტი თავისთავად მიუთითებს გასაღების მიზნის არსებობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ კანონმდებელი ვალდებულია, კანონით დაადგინოს ისეთი კრიტერიუმები, რომელიც საშუალებას მისცემს სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს, შეაფასოს მარიხუანას შეძენა/შენახვის ფაქტის არსებობასთან ერთად, რამდენად არსებობს გასაღების მიზანი (ან რეალური საშიშროება) და სისხლის სამართლებრივი სასჯელის სახით, თავისუფლების აღკვეთა გამოიყენოს მხოლოდ გასაღების მიზნით შეძენა/შენახვის შემთხვევაში. (ნიუსპრესი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სალომე ზურაბიშვილი: რა საჭირო იყო ხიდაშელს მეორე ხიდაშელის ხმები ეთვალა?




სალომე ზურაბიშვილი საგარეჯოს რაიონში გამართულ შუალედურ არჩევნებს აფასებს. მისი თქმით, საგარეჯოში ბევრი ისეთი დეტალი გამოიკვეთა, რამაც გარკვეული დაძაბულობა შექმნა. ზურაბიშვილის განცხადებით, თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში შუალედური არჩევნები უმრავლესობის კანდიდატთა მარცხით მთავრდება, ამიტომ „რესპუბლიკური პარტიის" ასეთი დიდი აქტიურობა საგარეჯოში საზოგადოებაში ეჭვს იწვევს.

„საგარეჯოს უბნებზე რა მოხდა და რა არ,ა ვერ დავდებ თავს ამაზე, გაყალბება მოხდათუ არა ესეც არ ვიცი... მაგრამ... მაინტერესებს ვინმემ მიპასუხოს – რა საჭირო იყო მაინდამაინც „რესპუბლიკელის" დასახელება საგარეჯოში ინაშვილის მეტოქედ (ნუთუ ადგილობრივი არავინ მოიძებნა რომელიც კოალიციის და არა ერთი და არა ყველაზე პოპულარული პარტიის სახელით გამოვიდოდა?

რა საჭირო იყო რომ მაინდამაინც კანდიდატი „ხიდაშელი" ყოფილიყო და გაჩენილიყო ამის გამო ეჭვი ნათესავურ კავშირების? რა საჭირო იყო რომ თინა ხიდაშელი, უსუფაშვილი ჩასულიყვნენ და გაჩენილიყო ეჭვი, რომ „რესპუბლიკელები" ამ შემთხვევაში იცავდენენ უფრო პარტიის ინტერესებს ვიდრე კოალიციის (არაფერი რომ ვთქვა ქვეყანაზე)?

რა საჭირო იყო რომ არჩევნების დღეს „ნეცების" მსგავსად ადგილზე გამოჩენილიყვნენ მთავრობის წევრები (ამას ხომ თავის დროზე ვაკრიტიკებდით როგორც ადმინისტრაციულ რესუსრების გამოყენებას) და თვით შტაბში ხიდაშელს ეთვალა (მეორე) ხიდაშელის ხმები?

რა საჭირო იყო მაინდამაინც ჯარისკაცებისთვის დისლოკაციის ადგილზე უბნის ეხლა გახსნა, როცა „ნაცების" მეირ საარჩევნოდ გახსნილ სპეცუბნებს ვგმობდით?

მოკლედ, რა საჭირო იყო აჟიოტაჟის არაფრიდან შექმნა, ქვეყნის საარჩევნო იმეჯის შელახვა, რა საჭირო იმის ჩვენება, რომ თურმე „ინაშვილის ესოდენ ეშინიათ"?

ნეტავ არ შეიძლებოდა ჩვეულებრივად ჩაეტარებინათ ეს არჩევნები, დაეთმოთ ეს ადგილი ან უპარტიო კოალიციის წარმომადგენლისთის ან თუნდაც ინაშვილისთვის, იმის მიხედვით რასაც საგარეჯოელები გადაწყვეტდნენ... და ამითი მაგალითი მიეცათ ყველასთვის, რომ უმრავლესობა არ აპირებს საპარლამენტოზე მონოპოლიის დამკვიდრებას...

და თუ გადავხედავთ სხვა ევროპულ ქვეყნების გამოცდილებას, დავინახავდით, რომ ყველგან უმრავლსობა და მმართველი პარტია შუალედურ არჩევნებს აგებს და სერიოზულ უკუსვლას განიცდის... ეს არის ჯანმრთელი პროცესი, ამომრჩევლის უკმაყოფილობის გამოხატვის ფორმა და დროული გამოსწორების წინაპირობა... .მაგრამ?" – აღნიშნავს ზურაბიშვილი. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გამოცდაჩაბარებულ მოქალაქეს, იმავე ტიპის ახალი იარაღის შეძენისას გამოცდის ხელმეორედ ჩაბარება აღარ მოუწევს



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში იარაღის უსაფრთხო მოხმარების და მფლობელთა ზოგადი ცოდნის გაუმჯობესების მიზნით სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის და გაზის (აირის) იარაღის შეძენის მსურველებისთვის იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში გამოცდა დაინერგა.

2015 წლის 1-ლი ნოემბრიდან იარაღის შეძენის მსურველები გამოცდას თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის, გაზის (აირის) იარაღის, სპორტული ცეცხლსასროლი იარაღისა და სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში ჩააბარებენ. საგამოცდო ბილეთები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვითაა შედგენილი. იარაღის დარეგისტრირების მსურველი რეგისტრაციის პროცედურის გავლას მხოლოდ გამოცდის წარმატებით გავლის შემთხვევაში შეძლებს. იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში გამოცდის ჩაბარება არ ეხებათ იმ მოქალაქეებს, რომლებმაც იარაღი 1 ნოემბრამდე დაირეგისტრირეს. იარაღის მფლობელი გამოცდას მხოლოდ ახალი იარაღის შეძენის შემთხვევაში აბარებს. ამავდროულად, გამოცდის ჩაბარების შემდეგ, მოქალაქეს იმავე ტიპის სხვა იარაღის შეძენისას გამოცდაზე ხელმეორედ გასვლა აღარ მოუწევს.

იარაღის შეძენის მსურველებს გამოცდაზე გასვლა შსს-ს მომსახურების სააგენტოს ყველა განყოფილებაში შეეძლებათ. მსურველებმა გამოცდაზე გასასვლელად უნდა წარმოადგინონ ცნობა ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. (ნიუსპრესი)

## პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით პოლიციამ ჩინეთის და საქართველოს მოქალაქეები დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 2 მოქალაქე – 1974 წელს დაბადებული ციუფან ვ. და 1976 წელს დაბადებული შინლუნ ი., ასევე საქართველოს მოქალაქეები – 1972 წელს დაბადებული ნათელა ტ., 1967 წელს დაბადებული ნანა გ. და 1972 წელს დაბადებული იზაბელა ს., პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები თბილისის სხვადასხვა უბანში, ჩინური მასაჟის სალონსა და სასტუმროში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ ქალბატონებს პროსტიტუციისთვის ფართს უთმობდნენ. სამართალდამცველებმა მასაჟის სალონსა და სასტუმროში მომუშავე ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 254-ე მუხლით მიმდინარეობს. (ნიუსპრესი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კახა მიქაია: „როდემდე გაგრძელდება „ქინძაობა" საქართველოში?"



„ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს სააკაშვილის სურვილი საქართველოში მოვლენები განვითარდეს რევოლუციური სცენარით და სისხლი დაიღვაროს. სოფო ნიჟარაძესთან სატელეფონო საუბრისას სააკაშვილმა საკუთარ თავს ქინძი უწოდა და სოფო ნიჟარაძე დაარწმუნა საქართველოში სისხლისღვრის გარდაუვალობაში.

მიხეილ სააკაშვილი: „ქინძი ვიყო, სისხლისღვრა აუცილებლად იქნება".

მინდა მივმართო საქართველოს ექსპრეზიდენტს: თქვენო უქინძებულესობავ! სად აქვთ ნაციონლებს და თქვენს მომხრეებს იმისი კომბოსტო, რომ საქართველოში რევოლუციური სცენარით წარმართონ მოვლენები, სისხლი დაღვარონ და „ტრიუმფით" დაგაბრუნონ სამშობლოში.

ახლა მინდა მივმართო ხელისუფლებასაც: ბატონებო, როდემდე გაგრძელდება „ქინძაობა" საქართველოში?! ხალხი ღელავს, ქინძი ჰაერშია!"

ასე ეხმიანება „დაიცავი საქართველოს" ლიდერი კახა მიქაია ინერნეტ სივრცეში ექსპეზიდენტ სააკაშვილის სკანდალურ სატელეფონო საუბრებს. (თაიმერი)

## ირმა ინაშვილი საგარეჯოს შუალედურ არჩევნებზე რამდენიმე უბნის შედეგების გაუქმებას ითხოვს




საგარეჯოს შუალედურ არჩევნებზე გამოვლენილი დარღვევების შემდეგ, უწყებათშორისმა საბჭომ სპეციალურ უბნებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. იუსტიციის მინისტრის განმარტებით, სპეციალურ უბნებთან დაკავშირებული დებულებები ცვლილებას მოითხოვს. ცნობილი მხოლოდ ჯგუფის შემადგენლობაა, მას თავდაცვის მინისტრის მოადგილე უხელმძღვანელებს.

ირმა ინაშვილი საგარეჯოში არჩევნების ტოტალურ გაყალბებაზე საუბრობს. „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერი სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს, რომლის მიხედვითაც ის რამდენიმე უბნის შედეგების გაუქმებას მოითხოვს.

„ჩვენ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ დავამტკიცოთ – არჩევნები მოვიგეთ მე და საგარეჯოელებმა. არჩევნების გაყალბება ეს არ არის ის ღირებულება, რისთვისაც ამდენი წლის განმავლობაში ვიბრძოდით". – განაცხადა ინაშვილმა.

საგარეჯოში ჩატარებულ შუალდურ არჩევენებზე მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით ამ დროისთვის აღძრულია სისხლის სამართლის 2 საქმე. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „სოსანაშვილს სამუდამო პატიმრობა ემუქრება და ცდილობს, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს“




საქართველოს მთავარი პროკურატურა სიცრუეს უწოდებს იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ გია სოსანაშვილის მიერ სასამართლო სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას, რომლის მიხედვითაც მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძე აღიარების სანაცვლოდ მას ოჯახის უზრუნველყოფას ჰპირდებოდა.

როგორც უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნათია სუხიაშვილმა განაცხადა, „სიცრუეზე კომენტარს ვერ გააკეთებს“.

მოგვიანებით კი სუხიაშვილმა შემდეგი შინაარსის მოკლე ტექსტური შეტყობინება გამოგვიგზავნა:

– სოსანაშვილს სამუდამო პატიმრობა ემუქრება და ცდილობს, მსგავსი სახის განცხადებებით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს...

ცნობისთვის, საქალაქო სასამართლოში იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებულმა გია სოსანაშვილმა დასკვნითი ჩვენების მიცემისას აღნიშნა, რომ მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძე, რომელიც მთავარი პროკურორობის ერთ-ერთი კანდიდატია, მასთან საკანში შევიდა და მკვლელობის შემკვეთად ირაკლი ფირცხალავას დასახელება სთხოვა.

– მიმაბეს რკინის მაგიდაზე, შემოვიდა მამუკა ვასაძე და განმიცხადა, რომ აფეთქების შედეგად გადარჩენილი ხელყუმბარის სახელურზე დარჩენილი იყო დნმ-ის კვალი, რომელიც მე მეკუთვნოდა. ვუთხარი, რომ დანაშაული მე არ ჩამიდენია და რატომ მაბრალებთ-მეთქი. მითხრა, იმიტომ, რომ 20 თებერვალს დაგირეკა ირაკლი ფირცხალავამო. შემდეგ შემოვიდა შოთაძე და მითხრა, თქვი, რომ ეს ყველაფერი ფირცხალავამ დაგავალა, შენ მოგისჯით რაღაც წლებს და სამაგიეროდ, შენი ოჯახი იქნება უზრუნველყოფილი და უსაფრთხოდო, – თქვა სოსანაშვილმა.

იური ვაზაგაშვილი მიმდინარე წლის 20 იანვარს კასპის რაიონში, სოფელ ყარაფილაში, შვილის ზურაბ ვაზაგაშვილის სასაფლაოსთან მომხდარი აფეთქების შედეგად გარდაიცვალა.

მომხდარიდან მალევე მოქმედი პოლიციელი გია სოსანაშვილი მკვლელობის ბრალდებით დააკავეს, თუმცა ჩადენილ დანაშაულს ეს უკანასკნელი დღემდე არ აღიარებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა..

## როგორი ამინდია მოსალოდნელი მომდევნო დღეებში



მომდევნო დღეების განმავლობაში უნალექო ამინდები შენარჩუნდება.

ინფორმაციას ამინდის შესახებ გარემოს ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

7 ნოემბრამდე დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია თბილი და უმეტესად უნალექო ამინდი. ჰაერის ტემპერატურა 14-19 გრადუსის ფარგლებში. 8 ნოემბერს, დღის ბოლოს ზოგიერთ რაიონში გაწვიმდება.

აღმოსავლეთ საქართველოში 3 ნოემბერს ღამის საათებში ჰაერის მინიმალური ტემპერატურა ბარშიც შესაძლოა, უარყოფით მნიშვნელამდე (-2 გრადუსამდე) დაეცეს. დღისით დათბება. 8 ნოემბრამდე ჰაერის ტემპერატურა 13-18 გრადუსის ფარგლებშია მოსალოდნელი, – ნათქვამია ინფორმაციაში. (ნიუპოსტი)

## აბა, თუ მიხვდებით, ვინ გაიმარჯვა აზერბაიჯანში ჩატარებულ არჩევნებში?



აზერბაიჯანში 1-ელ ნოემბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა პარტიამ გაიმარჯვა. ამის შესახებ პრეზიდენტ ილჰამ ალიევის პარტია „ახალმა აზერბაიჯანმა“ განაცხადა. ცესკოს მონაცემებით, პრეზიდენტის პარტიამ 125-ადგილიან პარლამენტში 70 ადგილი მოიპოვა.

არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა ყველა წამყვანმა ოპოზიციურმა პარტიამ და მთავრობა ოპონენტების დევნაში დაადანაშაულა. შესაბამისად, ილჰამ ალიევის პარტიის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან დაწესებული შეზღუდვების გამო, სექტემბერში ეუთომ აზერბაიჯანში დამკვირვებლების გაგზავნაზე უარი განაცხადა.

– ხელისუფლების მხრიდან დამოუკიდებელი, კრიტიკული აზრის აღკვეთამ, განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა მოახდინა 1-ლი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე“, – განაცხადა ეუთოს წარმომადგენელმა იზაბელ სანტოსმა. (ნიუპოსტი)

## „იმედი“ – გვარამია ბურდავსო

„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებას ტელეკომპანია „იმედში“ პასუხობენ და მას აბსურდულს უწოდებენ. „იმედში“ განმარტავენ, რომ აბსურდია ბრალდება, თითქოს კომენტარების ჩაწერა არხმა საჯარო სივრცეში ჩანაწერის გამოქვეყნებამდე დაიწყო. ამასთანავე, „იმედში“ აცხადებენ, რომ ახალი აუდიოფაილების გამოქვეყნების შესახებ მათ გამოშვებამდე 15 წუთით ადრე გაიგეს, რაც სრულიად საკმარისი დროა ჩანაწერის საეთეროდ მოსამზადებლად.

– ვებგვერდი „უკრაინული რევოლუცია“ კი ის ვებგვერდია, სადაც სამი დღის წინ, გიგა ბოკერიასთან და ნიკა გვარამიასთან მიხეილ სააკაშვილის ჩანაწერები გამოქვეყნდა. ამ ჩანაწერების ავთენტურობა თავად ფიგურანტებმაც დაადასტურეს, შესაბამისად, არ უნდა იყოს გასაკვირი ამ ინტერნეტპორტალის მიმართ ინტერესი, – აცხადებენ „ტელეიმედში“

ნიკა გვარამიას განცხადებით, „იმედი“ და „პირველი არხი“ დანაშაულებრივი შეთანხმების გამტარები და გამხმოვანებლები გამოდიან. ნიკა გვარამიას განცხადებით, აღნიშნულმა ტელეკომპანიებმა გაცილებით ადრე იცოდნენ მისი და მიხეილ სააკაშვილის აუდიოჩანაწერის შესაძლო გავრცელების შესახებ, ვიდრე ის საჯარო სივრცეში მოხვდებოდა, რაზეც, მისი თქმით, მიუკერძოებელი გამოძიება უნდა ჩატარდეს. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 11 წლის ნინიკო მხატრიშვილს დახმარება ესაჭიროება



პატარა ნინიკო მხატრიშვილს, რომელსაც ჰერპეს ვირუსული ენცეფალიტის დიაგნოზი დაუსვეს, დახმარება ესაჭიროება. ის 8 თვეა, უკვე კომაში იმყოფება. ნინიკოს 11 წელი საავადმყოფოში შეუსრულდა. აღნიშნულთან დაკავშირებით პოსტს მამა სერაფიმეც აქვეყნებს:

– ძვირფასო მეგობრებო, უმორჩილესად გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და დაეხმაროთ პატარა ნინიკოს, რომელსაც აქვს მძიმე დაავადება, მას ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა, რაც დაკავშირებულია ძვირად ღირებულ მკურნალობასთან, პატარას ოჯახი ეკონომიურად დუხჭირ მდგომარეობაშია, ისინი ელიან თქვენგან უდიდეს თანადგომას, რადგან რწმენითა და იმედით შეჰყურებენ მომავალს და თქვენი თანადგომის იმედით ელიან პატარას განკურნებას, არ დაინანოთ, თუნდაც მცირედი 1 ლარის შემოწირულობა და თქვენი წვლილი შეიტანეთ პატარას გამოჯანმრთელებაში. გთხოვთ, ასევე, გააზიაროთ ეს პოსტი და გულისხმიერ ადამიანებს სთხოვოთ, გასწიონ ქველმოქმედება:

პატარა ნინიკო მხატრიშვილს, რომელსაც 11 წელი ციციშვილის ბავშვთა ახალ კლინიკაში შეუსრულდა, სჭირდება დახმარება (ნინის მანამდე ჯანმრთელობის პრობლემა არასდროს ჰქონია). ჰერპეს ვირუსული ენცეფალიტის გამო მე-8 თვეა, აღნიშნული კლინიკის რეანიმაციაში მართვით სუნთქვაზე იმყოფება. ბავშვმა უფლის წყალობით გამოკეთება დაიწყო, ბევრი ადამიანის დახმარებისა და გვერდში დგომის მიუხედავად, შეუძლებელი ხდება ოჯახისთვის თანხების მოზიდვა, რაც დღევანდელი მდგომარეობით 56 000 ლარს შეადგენს და ყოველდღიურად იზრდება (დღე 360 ლარი). გთხოვთ, დაგვეხმარეთ პატარა ნინოს ფეხზე დაყენებაში. ასევე, მინდა მივმართო ჩვენს მთავრობას, რომ ყურადღება გამოიჩინონ და შეეწიონ ამ ჩვენს მძინარე ციცქნა მზეთუნახავ პრინცესას. გთხოვთ, ჩემს მრევლსა და მეგობრებს, მოყვასსა და სასულიერო პირებს, მუხლმოდრეკილი გთხოვთ, ერთად დავეხმაროთ მათ, თქვენი მორჩილი არქიმანდრიტი სერაფიმე.

საქართველოს ბანკი. მიმღები ზურაბ მხატრიშვილი (მამა).
ტელ: 595993358; GE89BG0000000128935100; ლიბერთი ბანკი
GE76LB0711160021145000, – წერს მამა სერაფიმე. (ნიუპოსტი)

## „ალ-ქაიდას“ ლიდერი დაჯგუფებებს რუსეთისა და დასავლეთის წინააღმდეგ გაერთიანებისკენ მოუწოდებს



ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ ლიდერი, აიმან ალ-ზავაჰირი დაჯგუფებებს სირიასა და ერაყში შიდა ბრძოლის შეწყვეტისა რუსეთისა და დასავლეთისგან მომავალი საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

„როიტერის“ ინფორმაციით, შესაბამისი ჩანაწერი „ალ-ქაიდასთან“ კავშირში მყოფ ერთ-ერთ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– ამერიკელები, რუსები, ირანელები, ალავიტები და „ჰესბოლა“ ჩვენს წინააღმდეგ ომში გაერთიანდნენ. ნუთუ არ შეგვიძლია, ერთმანეთთან ბრძოლა შევწყვიტოთ და ერთობლივი ძალები მათ წინააღმდეგ მივმართოთ?! – ნათქვამია ჩანაწერში.

„როიტერის“ თქმით, ჩანაწერი, სავარაუდოდ, 30 სექტემბრის შემდეგ არის გაკეთებული, მას შემდეგ, რაც სირიის კონფლიქტში რუსული ავიაცია ჩაერთო. სირიაში რუსული ავიაციის გამოჩენის შემდეგ, რუსეთს ჯიჰადი რადიკალურმა ისლამისტურმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომაც“ გამოუცხადა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ყაჩაღობა თბილისში – წინამძღვრიშვილის ქუჩაზე ინკასაციის მანქანა დააყაჩაღეს

ყაჩაღობა თბილისში – წინამძღვრიშვილის ქუჩაზე ინკასაციის მანქანა დააყაჩაღეს. წინასწარი ინფორმაციით, წაღებულია 150 ათასი დოლარი. ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ თავდამსხმელებმა შემთხვევის ადგილი საინკასაციო მანქანით დატოვე. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს. (პირველი რადიო)

## მწამებელ-მოძალადეებს რომ გადავყევით, რომელიმე პოლიციელი დასჯილა დაკავებულის ცემისთვის?!




პოლიციელებმა მოქალაქე სცემეს – ომბუდსმენი მთავარ პროკურორს მიმართავს.

საქართველოს სახალხო დამცველმა ბრალდებულ ო.რ.-ს მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადადებით საქართველოს მთავარ პროკურორს მიმართა.

ამის შესახებ ომბუდსმენის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულმა ბრალდებულმა ო.რ.-მ 2015 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს განუცხადა, რომ ის 2015 წლის 13 ოქტომბერს, დილით დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩასვეს ავტომანქანაში და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმის თანახმად, ო.რ.-ს აღენიშნებოდა „მარცხენა თვალბუდის არე მცირედ შეშუპებული, მარჯვნივ ზურგზე და ფერდქვეშ არეში ექსკორიაცია. მისი გადმოცემით, დაზიანებები მიიღო დაკავებისას“.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დაკავებული პირის ნებისმიერი განცხადება/ინფორმაცია, რომლის თანახმად, მის მიმართ სამართალდამცავების მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალადობას, წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას – დაიწყოს გამოძიება. ამასთანავე, სახელმწიფოს ვალდებულება – დანაშაულის ფაქტზე (მათ შორის, პოლიციელის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში) განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება: ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება, აუცილებლად გულისხმობს და მოიცავს მის ინსტიტუციურ და პრაქტიკულ დამოუკიდებლობას, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

# თბილისში ტაქსები ულიცენზიოდ ველარ იმუშავებენ

**რატომ მივიღეთ ქალაქის საცობებისგან განმუხტვის ნაცვლად, უარესად გამწვავებული პრობლემა? რა რეკომენდაციებს აძლევენ არასამთავრობო ორგანიზაციები თბილისის მთავრობას და რატომ არ ითვალისწინებენ მათ მერიაში? რატომ ვერ ახერხებს ამ დრომდე საცობებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას მერია და რას გეგმავენ ამ პრობლემის მოსაგვარებლად?**

**„ალიას“ „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ ხელმძღვანელი, ვასო ურუშაძე ესაუბრა:**

– სამწუხაროდ, რაც დრო გადის, მით უფრო აქტუალური ხდება საცობების პრობლემა ჩვენს დედაქალაქში, იმდენად აქტუალური, რომ ეს პრობლემა, თითოეულ მოქალაქემდე მივიდა, იმიტომ, რომ ნებისმიერ მოქალაქეს უწევს გადაადგილება სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით. ეს ყველაფერი აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც, იმიტომ, რომ შეფერხებული მოძრაობა და არაეფექტური კომუნიკაცია აფერხებს ნებისმიერ ლონისძიებას.

ჩვენმა ორგანიზაციამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ყველა მეთოდს მიმართა, გვქონდა სხვადასხვა სახის საჯარო გამოსვლები. ამ ყველაფრის საპასუხოდ, თბილისის მერიის მხრიდან ვხედავთ, რომ არც ერთი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა.

**პრობლემას ეძებენ იმაში, რაც არ არის რეალური პრობლემა — ასეთად ასახელებდნენ, მაგალითად, მარჯვენასაჭიანი მანქანების საკითხს, ასევე, მიაწერეს ტროტუარებზე მანქანების პარკირებას. ასევე აბსურდულია ბოლო დროს, მერიის მხრიდან გაკეთებული განცხადებები, რომ ეს შეფერხებული მოძრაობები გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა.**

გვპირდებოდნენ, რომ მალე დასრულდებოდა ეს სარეაბილიტაციო სამუშაოები და ეს პრობლემაც აღმოიფხვრებოდა, მაგრამ რეალურად მივიღეთ საპირისპირო შედეგი. ამ ყველაფრის მერე, იმის ნაცვლად, რომ თბილისის მერი გამოვიდეს და თქვას, რომ ეს პრობლემა არის ერთ-ერთი გამოწვევა ქალაქის მთავრობისთვის და ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობთო, გამოდის და ამბობს, რომ თურმე, მოქალაქეებს დაუწყიათ ქუჩების თვითნებურად გადათხრა.

**— რა ხდება რეალურად, ვინ თხრის ამ გზებს?**

– არის წერტილები, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებენ კონკრეტული კომპანიები, რომლებიც თბილისის მერიის მხრიდან არიან დაქირავებული ტენდერის შედეგად, ან პირდაპირი ხელშეკრულების გზით. ამის მერე აღმოჩნდება, რომ ეს კომპანიები ვერ აკმაყოფილებენ იმ კვალიფიკაციას, რომელმაც გზა უნდა დააგოს დროულად და ხარისხიანად. ასე რომ, მერიაში მოიკითხოს ნარმანიას გზების მთხრელები, ეს კომპანიები მისივე ხელმოწერით არიან დაქირავებულები. რეალურად, მერია არ მუშაობს არც ერთ პროექტზე, რომ საცობების პრობლემა აღმოიფხვრას; პრობლემაა მუნიციპალური ტრანსპორტიც, რასთან დაკავშირებითაც გვპირდებოდნენ, რომ გვეყოლებოდა ახალი მუნიციპალური ტრანსპორტი, რაც დიდწილად მოაწესრიგებდა მოძრაობს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ეს დანაპირები შეესრულებინათ, ყოველ ორ თვეში ააქტიურებენ თვითონ დანაპირებს. ცალკე პრობლემად რჩება კიდევ ვაკე-საბურთალოს გზაც.

**შემდეგი პრობლემაა ყვითელი მიკროავტობუსების თვითნებური გაჩერებები. პატრულს აქვს უფლება, დააჯარიმოს მიკროავტობუსი ასეთ შემთხვევაში, იმიტომ რომ ის, ასეთ შემთხვევაში არღვევს საგზაო მოძრაობის წესებს. ყვითელი მიკროავტობუსები არ გახლავთ მუნიციპალური ტრანსპორტი, ის არის კერძო მფლობელობაში არსებული კომპანია. ამის მიუხედავად, როგორც ვიცი, არ ხდება მათი დაჯარიმება. რატომ, ვერ გეტყვით.**

საცობებთან არის დაკავშირებული, ასევე, სადისტრიბუციო მანქანების ექსპლუატაცია, დასუფთავების მანქანები, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების გადამზადება, შუქნიშნების მოწესრიგება... ყველაფერ ამაზე უამრავჯერ შევთავაზეთ თბილისის მერიას რეკომენდაციები, მაგრამ არ მოჰყოლია ამას რეაგირება.

ცუდი ფაქტია ისიც, რომ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, რამდენი ადამიანი გარდაიცვალა ბოლო ორი წლის განმავლობაში, მხოლოდ იმის გამო, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა დროულად ვერ მივიდა ადგილზე. არაოფიციალური ინფორმაციით, ასეთი ადამიანების რიცხვი ასეულს აღემატება. გამოდის, რომ დავით ნარმანია არის ჩვეულებრივი მკვლელი, იმიტომ, რომ მან ვერ უზრუნველყო თავისი თანამოქალაქეების სიცოცხლის დაცვა. თუ მერია ამ პრობლემებზე დაუყოვნებლივ არ დაიწყებს მუშაობას, ნებისმიერი ჩვენგანის სიცოცხლე დგება საფრთხის წინაშე. არაფერს ვამბობ სამაშველო სამსახურებზე, სახანძროზე და ა.შ. ნებისმიერი მოქალაქის უსაფრთხოებაზე თბილისის მერი და მერიაა პასუხისმგებელი.

ამ პრობლემის უშუალო მოგვარების პროცესში ჩართული უნდა იყოს თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურის უფროსი, რომელიც რას აკეთებს, საერთოდ, არავინ არ იცის. საუბარია პატივცემულ გურგენიძეზე, რომლის საჯარო კომენტარიც კი არ გვინახავს ამ პრობლემაზე, გაუგებარია რაში იღებს ხელფასს, პრემიას და ა.შ. როცა თბილისის ქუჩებში ასეთი ამბავია. ქუჩებში უნდა ათენებდეს და აღამებდეს, მაგრამ რეალურად რაც ხდება, კი ვხედავთ.

**— რას ურჩევთ მერიას, რას ეტყვით დამატებით რეკომენდაციის სახით?**

– თავიდან ბოლომდე უნდა შეცვალოს ამ საკითხზე მომუშავე ჯგუფი. უნდა დააკომპლექტონ გუნდი პროფესიონალებით, ადამიანებით, რომლებიც რეალური პრობლემების საქმის კურსში არიან, იციან, როგორ უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა. აქვე გავუსვამ ხაზს იმასაც, რომ მარტო თბილისის მერია ვერ გადაწყვეტს ამ საკითხს და ეს უნდა ავიდეს სამთავრობო დონეზე და უნდა ჩართონ მთელი რიგი სამინისტროები – როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე, შს და ეკონომიკის სამინისტროები.

**რატომ ვერ ხერხდება ამ დრომდე საცობების პრობლემის მოგვარება და რას გეგმავს ამისთვის თბილისის მთავრობა? ამ კითხვით „ალია“ მერიის პრესსამსახურის ხელმძღვანელს, ნონა ყანდიაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც პასუხი წერილობით გაგვცა:**

„საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის მიმდინარე წელს 45 მილიონი ლარია გათვალისწინებული. იგეგმება სამებისა და მახათას მთის დამაკავშირებელი გზის გაყვანა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი იქნება. იგეგმება ასევე ცინცაძისა და თამარაშვილის ქუჩების კვეთაზე სატრანსპორტო კვანძის მოწესრიგება. დაგეგმილია შუქნიშნის მოხსნა და მოძრაობის განმუხტვა. აღნიშნული პროექტი 2016 წელს განხორციელდება. ასევე, 2016 წელს დასრულდება სატრანსპორტო კვანძის მოწესრიგება ცინცაძისა და კარტოზიას ქუჩების კვეთაზე. სატრანსპორტო კვანძი მოწესრიგდება, ასევე, ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე. იგეგმება არსებული შუქნიშნის გაუქმება და წრიული მოძრაობით სატრანსპორტო მოძრაობის განტვირთვა.

გარდა ამისა, მიმდინარეობს რამდენიმე ხიდის რეაბილიტაცია. დავიწყეთ ავარიული დიღმულას ხიდის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს მუშაობა ბარათაშვილის ხიდზე, ზაჰესის ხიდებზე, ასევე, მუხათგვერდში გადასასვლელ ესტაკადაზე, რომელიც 30 წლის განმავლობაში უფუნქციოდ იყო. ამ პროექტის დასრულება მიმდინარე წლის ნოემბერში იგეგმება. ასევე, დაგეგმილია ვახუშტი ბაგრატიონისა და გულუას ხიდების რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს იგეგმება გლდანულაში ავარიული ხიდის რეკონსტრუქციაც. მოხდება ძველი ხიდის დემონტაჟი და დაგეგმილია მისი ახლით შეცვლა. მარშალ გელოვანის ქუჩაზე მოიხსნება შუქნიშანი, რაც საშუალებას მისცემს თბილისში შემოსულ ავტოტრანსპორტს სააკაძის მოედნამდე შუქნიშნის გარეშე გადაადგილდეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტია მეტეხის ორივე საგვირაბო კომპლექსის კაპიტალური რეაბილიტაცია, რომელიც 2016 წელს იგეგმება. გარდა ამისა, ელბაქიძის აღმართზე იგეგმება ავარიული საყრდენი კედლის განახლება.

პროექტირების სტადიაშია რუსთაველის ქუჩის პუშკინის ქუჩით სანაპიროებთან დაკავშირება, პუშკინის ქუჩაზე სატრანსპორტო საშუალებების ორმხრივი მოძრაობის აღდგენა, რომელიც განტვირთავს მარჯვენა სანაპიროს, მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიასთან და მიმდებარე ქუჩებს (ჭანტურიას, ფურცელაძის, ვაჩნაძის, ვირსალაძის).

თბილისში ავტომობილების რიცხვი საკმაოდ გაზრდილია, დაახლოებით 385 000 რეგისტრირებული ავტომობილია თბილისში. ყოველდღიურად კი 500 000-მდე ავტომობილი გადაადგილდება, რაც, ბუნებრივია, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს უფრო ზრდის. საგზაო უსაფრთხოების მოწყობა და საგანმანათლებლო პროექტები იქნება ის საკითხები, რაშიც ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლებთ არასამთავრობო სექტორთან.

სარეაბილიტაციო სამუშაოები რომლებიც აქტიურად მიმდინარეობს და დასრულდება უახლოეს დღეებში, იქნება ერთ-ერთი ხელშემწყობი პრობლემის გადაჭრის მიმართულებით. გარდა ამისა, ერთ-ერთი საკითხია ტაქსების ლიცენზირების თემა, რომელზე მუშაობაც მიმდინარეობს, მაგრამ ეს არ არის მოკლევადიანი გეგმა. კარგი იქნება გარკვეული რეგულაციების შემოღებაც, თუმცა, ეს თბილისის მერიის კომპეტენცია არ არის. აქ საუბარია გარკვეულ შეზღუდვებზე, ამის კომპეტენცია ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ მხარს დავუჭერთ ცვლილებებს. თბილისის მერიაში არ განიხილება არც მარჯვენასაჭიანი მანქანების და არც მანქანის წლოვანების შემზღუდავი რეგულაციის შემოღება“. – გვითხრეს თბილისის მერიაში და თან დასძინეს, რომ ამაზე მეტს ვერაფერს გვეტყოდნენ.



**„ერთ-ერთი საკითხია ტაქსების ლიცენზირების თემა, რომელზე მუშაობაც მიმდინარეობს, მაგრამ ეს არ არის მოკლევადიანი გეგმა. კარგი იქნება გარკვეული რეგულაციების შემოღებაც, თუმცა, ეს თბილისის მერიის კომპეტენცია არ არის. აქ საუბარია გარკვეულ შეზღუდვებზე, ამის კომპეტენცია ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ მხარს დავუჭერთ ცვლილებებს“**



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „Je suis ნოდარ მელაძე“ — როგორ ამხნევებენ ჟურნალისტები კოლეგას, რომელსაც სოფო ნიჟარაძემ შეურაცხყოფა მიაყენა



უკრაინული საიტის მიერ გავრცელებულ ფარულ აუდიოჩანაწერში, რომელშიც, საიტის მტკიცებით, მიხეილ სააკაშვილსა და სოფო ნიჟარაძეს შორის სატელეფონო საუბარია გამოქვეყნებული, სოფო ნიჟარაძე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტ ნოდარ მელაძეს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებს.

**ინგა გრიგოლია, ჟურნალისტი:**

– ნოდარ მელაძე, ასე სახალხოდ რომ გითხრა, უძალიანესად რომ მიყვარხარ და უბადლო ჟურნალისტი და საუკეთესო მეგობარი ხარ, არა უშავს, ხო?

**რუსუდან ვაშაკიძე, „რუსთავი 2“-ის ტოქშოუების პროდიუსერი:**

– ნოდარ მელაძე, როგორ წარმოვიდგენდი ასე საჯაროდ სიყვარულს თუ აგიხსნიდი. როდის განახეს შეშინებული, მაინტერესებს. აგერ მიზიხარ გვერდით ლამის 2 წელია. ძალიან მაგარი ხარ და ძალიან თამამი, გაკოცე!!! ასე არასწორად რომ მიჰქონდათ ამბები, იმიტომაა საქმე კარგად.

**ეკა კვესიტაძე:**

– Je suis, ნოდარ მელაძე.

**მანანა მანჯგალაძე:**

– ჩემი მეგობარი ნოდარი)))))))))))

**ნიკა გვარამია:**

– შენ ხარ ჩემი ჯილა. (ambebi.ge)

## „როდესაც ადამიანს სისხლი უნდა თავის ქვეყანაში, რა უნდა ვთქვა“ — დათო ოქიტაშვილი და ნინა წკრიალაშვილი სოფო ნიჟარაძის სკანდალურ ჩანაწერზე



დათო ოქიტაშვილი: რა შეფასება უნდა გავაკეთო, ჩემი აზრით, ორივეს ხმა ჰგავს, როდესაც ადამიანს სისხლი უნდა თავის ქვეყანაში, რა უნდა ვთქვა. სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს ამ პიროვნებებით, ხალხი დაიღალა. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს მასხრად იგდებენ. მე ვიცნობ ნოდარ მელაძეს, ჟურნალისტი კარგია თუ ცუდი, ასე არ უნდა ისაუბრო მასზე. ეს ჟურნალისტები ერთგულად ემსახურებიან სურენას და ნაცხროვას და ესენი კიდევ შეურაცხყოფას აყენებენ. უნდა მიიღონ ამ ჟურნალისტებმა შესაბამისი გადაწყვეტილება.

ნინა წკრიალაშვილი: არ მომისმენია ეს საუბარი, ვაპროტესტებ უკანონო მოსმენებს და არავითარ შემთხვევაში არ მოვუსმენ. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „...თინიკოს თხოვნა სააკაშვილისადმი, — აზერბაიჯანელების ხმებით დამეხმარეო, ზუსტად ამ სცენარმა შეისხა ხორცი იორმუღანლოში“



„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი საგარეჯოში ჩატარებულ შუალედურ არჩევნებს სოციალურ ქსელში ეხმაურება:

– ძალიან მეზარებოდა კომენტარის გაკეთება თავდაცვის მინისტრის ალგზნებულ განცხადებაზე... მაგრამ უპასუხოდ დატოვებაც არ ღირს. თანაც დრო მაქვს. ანუ ჯარმა ინაშვილს მხარი იმიტომ არ დაუჭირა, რომ ევროკავშირს ებრძვისო, არა?! ეტყობა, სახელისუფლებო კანდიდატმა აზერბაიჯანული მოსახლეობის ხმები იმ მარტივი მიზეზით მოიხვეჭა, რომ მთელი იორმუღანლო დღე და ღამე ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციაზე ოცნებობს. როგორც მახსოვს, ჩვენი აზერბაიჯანელი ძმები 5 წელია, სასწრაფო დახმარების ერთ ცალ მანქანას ითხოვენ... და ეს მოლოდინი უსასრულოდ გრძელია.

**P.S.** ისე, ვენდობი, თუ არ ვენდობი, სხვა საკითხია, მაგრამ... რა ინფორმაციაც „უკრაინულმა ვიკილიკსმა“ გაავრცელა (ვგულისხმობ თინიკოს თხოვნას სააკაშვილისადმი, აზერბაიჯანელების ხმებით დამეხმარეო), ზუსტად ამ სცენარმა შეისხა ხორცი იორმუღანლოში. მარნეულიც იქ იყო, ბაქოც და გიგლა აგულაშვილიც... — წერს ირმა ინაშვილი. (პირველი რადიო)

## როდის ყოფილა ჩვენი „ერთმორწმუნე ძმა“ ადეკვატური, ახლა რომ იყოს?!



რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი ქვეყანა აგრესორი არ არის. სოციოლოგიური კვლევის შედეგებს „ლევადა ცენტრი“ აქვეყნებს.

რესპონდენტთა 59 პროცენტის აზრით, რუსეთი არასდროს ყოფილა აგრესორი ქვეყანა და სხვა ქვეყნებთან კონფლიქტის ინიციატორი. ამასთანავე, 26 პროცენტი ფიქრობს, რომ რუსეთი თავად არის სხვა ქვეყნების აგრესიის მსხვერპლი.

გამოკითხულთა მხოლოდ 7 პროცენტი აღიარებს, რომ რუსეთი სხვა ქვეყნების მიმართ აგრესიას ახორციელებს. (ghn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დაუყოვნებლივი აღსრულების ნორმა შეჩერებულია — „რუსთავი 2“-ის საქმე საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო




საკონსტიტუციო სასამართლომ „რუსთავი 2“-ის სარჩელი წარმოებაში მიიღო და საქმის დაუყოვნებლივ აღსრულების ნორმის ამოქმედება შეაჩერა გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკონსტიტუციო სასამართლოს „რუსთავი 2“-მა სარჩელით 26 ოქტომბერს მიმართა. სამაუწყებლო კომპანიის იურისტები გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების ნორმის ხარვეზებზე მიუთითებდნენ და იმ მუხლების გაუქმებას ითხოვდნენ, რომლებიც შესაძლოა, „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ მოსამართლე ურთმელიძემ გამოიყენოს.

ადვოკატის განმარტებით, ამ ვარაუდს ისიც ამყარებს, რომ სასამართლოს უფლება აქვს, დაუყოვნებლივი აღსრულების შესახებ გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე მიიღოს, „რუსთავი 2“-ის დაცვის მხარეს კი კონსტიტუციით მინიჭებული უფლების გამოყენების საშუალება მთლიანად შეეზღუდოს. (პირველი რადიო)

## ბუზსაც ვერ უფრენთ და ჩაერევა კი არა, ზედაც არ დაგაჯდებათ რო?!



უკრაინის პრეზიდენტის, პეტრო პოროშენკოსადმი საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაგზავნილ წერილს აუდიოჩანაწერებთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი გამოეხმაურა.

ზაქარეიშვილის შეფასებით, პირველად არ ხდება, როცა უკრაინის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი საქართველოს საქმეებში უხეშად ერევა.

– პირველად არ ხდება, როცა უკრაინის ერთ-ერთი პოლიტიკური ფიგურა, სააკაშვილი უხეშად ერევა საქართველოს საქმეებში. არ ჩანს, ეს მისი პოზიციაა თუ უკრაინის ხელისუფლების პოზიცია. მე მაინტერესებს, რას ფიქრობს უკრაინის პრეზიდენტი იმაზე, რომ მისი პოლიტიკოსი ერევა სხვა ქვეყნის საქმეებში, ამ შემთხვევაში საქართველოს საქმეებში, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა..

## „აფხაზეთი და ცხინვალი წლებია, რუსული ფულით ცხოვრობენ ამაში ახალი არაფერია“



რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონებისთვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის საკითხზე კომენტირებისას რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე ამბობს, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი უკვე წლებია, რუსული ფულით ცხოვრობენ და ამაში ახალი არაფერია.

– აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსული ფულით ცხოვრობენ რამდენი წელია. ცხინვალის რეგიონის ე.წ. სახელმწიფო ბიუჯეტის 95 პროცენტი შედგებოდა და შედგება რუსეთიდან მიღებული გადარიცხვებით. ასე რომ, ახალი არაფერი არ არის ამაში. ასე გრძელდება წლებია, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

რაც შეეხება რუსეთის წარმომადგენელ გრიგორი კარასინთან შეხვედრას, აბაშიძის ინფორმაციით, მორიგი აუდიენცია ნოემბრის შუა რიცხვებში გაიმართება.

– ჩვენ შევხვდებით, სავარაუდოდ, ნოემბრის შუა რიცხვებში, კონკრეტული თარიღი მიმდინარე კვირას დაზუსტდება. საკითხები მეტ-ნაკლებად გაწერილია, როგორც ცნობილია, ჩვენი დღის წესრიგი უმთავრესად დაკავშირებულია სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან, სატრანსპორტო კავშირებსა და ჰუმანიტარულ პრობლემებთან. რაღაც განსაკუთრებულ სენსაციას არ უნდა ველოდოთ, – აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა. (პირველი რადიო)

## სტალინი და სააკაშვილი, სტალინი და სააკაშვილი, სტალინი და სააკაშვილი — ამოვიდა ყელში, ოეეეეე!!!



ზესტაფონის რაიონის სოფელ შორაპანში სტალინის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით, კომენტარს აკეთებს ზესტაფონის გამგებელი ტარიელ თუთარაშვილი. მისი თქმით, ძეგლი სოფლის დამოუკიდებელმა მაჟორიტარმა დეპუტატმა საკუთარი ინიციატივით დადგა. გამგებლის თქმით, გატარდება კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, ვინაიდან ძეგლი უნებართვოდ დაიდგა:

– სტალინის ძეგლი დადგა შორაპნის დამოუკიდებელმა მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა გოჩალეიშვილმა თავისი ინიციატივით, თავისი სახსრებით და თავის ძალისხმევით. მას არ ჰქონია არანაირი ნებართვა და აქედან გამომდინარე, ეს გახლავთ უნებართვო განთავსება. ჩვენ მივიღებთ კანონით გათვალისწინებულ ზომებს. ჯერ მივმართავთ, რომ თვითონ აიღოს, თუ არა და ჩვენ ავიღებთ, – განაცხადა ზესტაფონის გამგებელმა. (პირველი რადიო)

**ცნობილია, რომ ძეგლი ერთ-ერთი ქარხნის ეზოში ინახებოდა კი არა და — ეგდო. ჰოდა, ამდგარა კობა გოჩალეიშვილი და დაუდგამს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალთან...**

**კობა ბატონო, რაც ახლა ამ ძეგლის დადგმაზე ფული დახარჯეთ, ან გაჭირვებული მეზობელი არ გყავთ გვერდში, ან ნათესავი, დახმარებოდით ვინმეს, სიკეთეს მაინც იზამდით, რას შეგვჭამეთ ამ სტალინსა და სააკაშვილზე გაუთავებელი სისულელეებით?!**

# რატომ ვერ ახერხებს „ნაცმოძრაობა“ სააკაშვილისაგან გათავისუფლებას?

**საშინაო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგსა და კონსტიტუციონალისტს, ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა:**

**— ბატონო ვახტანგ, ცნობილი ფარული ჩანაწერის არაერთგზის მოსმენის შემდეგ დარჩა შთაბეჭდილება, რომ ექსპრეზიდენტი სერიოზულ თემებზე, თუნდაც იმაზე, რომ თუ სასამართლომ განაჩენის აღსრულება იძულების წესით დაადგინდა, მაშინ „რუსთავი 2“-მა წინააღმდეგობა ბარიკადებით უნდა შეძლოს. საკმაოდ დაბეჯითებით საუბრობდა, ხოლო მის ორივე მოსაუბრეს, გვარამიას და ბოკერიას აშკარად არ მოეწონათ ოდესიდან სააკაშვილის გზავნილები. რა უნდა ვიფიქროთ — სააკაშვილმა საქართველოში არსებული რეალობა არ იცის, პოლიტიკური ბრძოლის მეთოდოლოგიაზე „ნაცმოძრაობაში“ აზრთა სხვადასხვაობაა? ფაქტია, რომ იგი თანაგუნდელებზე ახდენს ზეწოლას, რათა მათ ხელისუფლებას შეცდომა დააშვებინონ და პროცესები ხელისუფლებისათვის და ქვეყნისათვის არასასურველი სცენარით განვითარდეს...**

– შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული თვალსაზრისით სააკაშვილი სამშვიდობოსაა გასული, ბოკერია და გვარამია თბილისში იმყოფებიან, ამიტომ სააკაშვილისთვის ბრძანების გაცემა ძალიან ადვილია. ამ ბრძანების შესრულება კი, თანაც როდესაც საუბარია პროცესების რევოლუციური სცენარით განვითარებაზე და ბარიკადების აღმართვაზე, ძნელიცაა და სახიფათოც. ბოკერიამ და გვარამიამ მშვენივრად იციან, როგორ ხდება სატელეფონო მოსმენები, შესაბამისად, ისინი ვერ გამორიცხავდნენ იმას, რომ მათი საუბარი სააკაშვილთან. მისი ქმედებები უკრაინაში სუმბურულ ხასიათს ატარებს და მისი საუბრები დაკვირვების საგანი შეიძლება იყოს იგივე უკრაინის გარკვეული პოლიტიკური ძალების მხრიდან, თუნდაც რუსეთის სპეცსამსახურებიდან. შესაბამისად, მათი რეაქცია, როდესაც ისინი ოდესიდან მიღებულ განკარგულებას ისმენდნენ, არის ადეკვატური. არ გამოვრიცხავ, ისინი ითვალისწინებდნენ, რომ საუბარი ისმინება და იგი საჯარო სივრცეში მოხვედრილიყო.

რაც შეეხება იმას, იცის თუ არა სააკაშვილმა ქვეყანაში არსებული ვითარება. არა მგონია, რომ იგი მოწყვეტილი იყოს საქართველოში არსებულ რეალობას. თუ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში „ნაციონალების“ ქმედებებს გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ მათ ყველაფერი სცადეს. ყოველ წელს ისინი ცდილობდნენ, რომელიმე თემაზე მოეწყოთ აქციები და დაედგინათ საკუთარი რეიტინგი და გავლენა მოსახლეობაში. ენ-დი-აის კვლევებს არ ვგულისხმობ... მათ ბევრი რამ მოსინჯეს – რუსული სცენარი, „გაზპრომზე“ საუბარი და სხვა, რამაც არ გაჭრა. ამის შემდეგ მათ ჩათვალეს, რომ დარჩათ ერთადერთი ვარიანტი, მოეძებნათ ისეთი თემა, რომელიც საზოგადოებაში, ოპოზიციურ პარტიებში გამოიწვევდა თანადგომას და ქვეყნის გარეთ რეზონანსს. დარჩა „რუსთავი 2“-ის თემა. დასავლეთიდან სიტყვის თავისუფლებისთვის მხარდაჭერა უზრუნველყოფილია, მაგრამ ქვეყნის შიგნით პროცესები ისე არ წავიდა, როგორც ისინი ვარაუდობდნენ. თუ პროცესი მშვიდ გარემოში წავიდოდა, აქ ვერაფერი ვერ მოხდებოდა. გვარამიასა და სააკაშვილის საუბარი არ არის თავისუფალი მედიის წარმომადგენლის საუბარი პოლიტიკოსთან. საუბრის ინტონაციაში იგულისხმება, თუ ვინ ვის ელაპარაკება. შესაბამისად, ცხადია, რომ მათი მიზანი იყო ასეთი – როგორმე გამოეყვანათ ხელისუფლება წონასწორობიდან. თუ ხელისუფლება შეცდომას დაუშვებდა და სპეცრაზმით შევარდებოდა „რუსთავი 2“-ში, ეს თუ დიდ რეზონანსს არ გამოიწვევდა ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ სერიოზული რეაქცია მოჰყვებოდა.

„რუსთავი 2“-ს საკითხმა საზოგადოებაში ვერ გამოიწვია ის რეზონანსი, რომელსაც ელოდნენ. ეს რომ ასეა, დადასტურდა იმით, რომ თუ რა რაოდენობის ხალხი და ვინ მივიდა სასამართლოზე, ვინ მივიდა ტელეკომპანიის შენობასთან. შესაბამისად, მათ დასჭირდათ ახალი რამის მოფიქრება და ეს აღმოჩნდა ის, რაზეც სააკაშვილი ჩანაწერში საუბრობდა. იგი გვარამიასა და ბოკერიას უნდა განეხორციელებინათ, მაგრამ თავად მათ რამდენად აწყობდათ ასეთ სახიფათო თამაშში თავის გაყოფა, ეს უკვე სხვა საკითხია.

არის კიდევ ერთი რამ. შეუძლებელია, სააკაშვილსაც არ სცოდნოდა, რომ არსებობდა ძალიან დიდი ალბათობა იმისა, რომ მისი საუბარი გვარამიასთან და ბოკერიასთან, ვგულისხმობ საუბრის შინაარს, ცნობილი გახდებოდა სპეცსამსახურებისთვის. შესაბამისად, ბუნებრივად ჩნდება კითხვა – რატომ დაიწყო მან საუბარი მოვლენათა რევოლუციური გზით განვითარებაზე ტელეფონით? რევოლუციები ტელეფონით ხომ არ ხდება? რატომ არ გაითვალისწინა, რომ ბარიკადებზე, „ბოევიკებზე“ საუბარი შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო არა მარტო მის, არამედ ბოკერიასა და გვარამიას წინააღმდეგ. ჩემი აზრით, საქმე ისაა, რომ სწორედაც რომ გაითვალისწინა. ეტყობა, ჩაითვალა ასე, – თუ ხელისუფლება ამაზე ავარდებოდა, პირველ რიგში უნდა დაეპატიმრებინათ ბოკერია და გვარამია. ჩემი აზრით, ამ სატელეფონო საუბრებში ასეთი მცდელობა აშკარად ჩანს. ამას დასავლეთში სერიოზული აჟიოტაჟი მოჰყვებოდა. საბედნიეროდ, ხელისუფლებამ ძალიან მშვიდად იმოქმედა და ეს პროცესი წაიყვანა ისე, რომ ქვეყანას პრობლემები არ შეჰქმნია. თუმცა, ვფიქრობ, რომ „ნაციონალების“ მხრიდან ხელისუფლების პროვოცირების მცდელობები მომავალი წლის არჩევნებამდე და არჩევნებზეც გაგრძელდება...



**— გია ნოდიამ სოციალურ ქსელში ასეთი აზრი გამოთქვა — „სააკაშვილი „ნაცმოძრაობის“ ძლიერი მხარეცაა და სისუსტეც. პარტიას იმიჯის განახლება სჭირდება. ამას კი ლიდერის გამოცვლა უნდა. პარტიას სხვა ქვეყნიდან ვერ მართავ. ლიდერის დეფიციტი პარტიას აშკარად ეტყობა“. თქვენ როგორ შეაფასებდით ნოდიას ამ შეფასებას იმის გათვალისწინებით, რომ ბატონ გიას „ნაციონალების“ მიმართ სიმპათიები რომ აქვს, არც არასოდეს დაუმალავს...**

– იგი, სწორედაც რომ როგორც „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი, იმას ლაპარაკობს, რაც აუცილებელია. „ნაცმოძრაობა“" ვერ მოახდინა რებრედინგი. მათ რომ 2012 წელს არჩევნებში დამარცხების შემდეგ მოქმედების სხვაგვარი სტრატეგია აერჩიათ, არ დარჩენილიყვნენ ისეთივე აგრესიულები და შემტევი, როგორც დღეს არიან, მათი საქმე გაცილებით უკეთესად იქნებოდა. როცა „ნაცმოძრაობა“ სიტყვის თავისფლებაზე ხმამაღლა ლაპარაკობს, ნორმალურ ადამიანს უცებ „იმედი“ ახსენდება და თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს, რადგან მათგან სიტყვის თავისუფლებაზე საუბარს ვერ მიიღებს. სამწუხაროდ, ასეთი თემები ძალიან ბევრია და მათ ეს თემები ჰქონდათ გასააზრებელი და სტრატეგიაც შესაბამისად ასაგები, მაგრამ მათ ამის გაკეთება არ მოისურვეს.

საინტერესო აქ სხვა რამაა. რატომ ვერ ახერხებს „ნაცმოძრაობა“ სააკაშვილისაგან გათავისუფლებას? ვფიქრობ, „ნაციონალები“ ლიდერის პრობლემას როგორმე მოაგვარებდნენ, მაგრამ ჩემი აზრით, ეს უფრო არა ლიდერის, არამედ ფინანსების პრობლემაა, ანუ იმის, თუ ვინ განაგებს მათ ფინანსებს. ვფიქრობ, ისინი სააკაშვილს ვერ იშორებენ. ბატონი გია სწორ დასკვნას აკეთებს. არა მგონია, რომ სააკაშვილი დღეს „ნაციონალების“ ძლიერი მხარე იყოს, მაგრამ სუსტი და დამაბრკოლებელი რომ არის, სულ უფრო ცხადი ხდება. მაგრამ, ახლა უკვე საკმაოდ გვიანაა რაიმეს შეცვლა. ამიტომაც ვფიქრობ, „ნაციონალები“ არჩევნებამდე დარჩენილ ეტაპს ისევ ჩვეულ სტილში და უკვე განსაზღვული სტრატეგიით გააგრძელებენ. მხედველობაში მაქვს ხელისუფლების რამენაირად პროვოცირება და იმის მიღწევა, რომ მან „ნაციონალების“ წინააღმდეგ უხეში ძალა გამოიყენოს...

**— იუსტიციის მინისტრმა, თეა წულიკიანმა განაცხადა, რომ სამინისტრომ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურის დაიწყო. სპიკერმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა — „სააკაშვილს ვერ შეუნარჩუნდება ის, რასაც კონსტიტუცია კრძალავს“. თავის მხრივ სააკაშვილმა ბრძანა — „რამდენჯერ უნდა წამოვეგოთ რუსულ სპეცსამსახურებს“... „მოქალაქეობის ჩამორთმევით ივანიშვილი არჩევნებისკენ გზას მიკეტს“... ამ ისტორიაში უცნაური სხვა რამაა, ეს ჩანაწერი რომ არ ყოფილიყო, ოდესის გუბერნატორის საქართველოს მოქალაქეობის საკითხი დღის წესრიგში არ დადგებოდა?**

– ეს საკითხი დღის წესრიგში კონსტიტუციიდან გამომდინარე თავიდანვე ავომატურად დადგა, როგორც კი სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობა მიიღო. სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობის მიღებაზე განცხადება ამის შესახებ საჯარო სივრცეში გაკეთდა, მაგრამ სახელმწიფო გადაწყვეტილებას განცხადების საფუძველზე ვერ მიიღებდა. მაშინვე თქვა იუსტიციის მინისტრმა, რომ ამას სჭირდება პროცედურები. ანუ, უკრაინის შესაბამისი უწყებებიდან დასტური, რომ სააკაშვილმა მართლაც მიიღო უკრაინის მოქალაქეობა. როგორც წულუკიანმა თქვა, ეს დასტური თბილისში უკვე მიღებულია და შესაბამისად პროცესი დაიწყო. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თემურ ჯანაშიას პირველი კომენტარი: „რუსთავი 2“-ს სააკაშვილის დაცვის წევრები იცავენ



სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსის თემურ ჯანაშიას ინფორმაციით, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაცვის წევრები ტელეკომპანიაში მას შემდეგ დასაქმდნენ, რაც „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მოადგილე ნინო შუბლაძის სამუშაო ოთახში ფარული ჩანაწერი აღმოაჩინეს.

მისი თქმით, მაშინ ტელეკომპანიის დაცვის თანამშრომლები სამსახურიდან გაათავისუფლეს და ისინი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაცვის თანამშრომლებმა ჩაანაცვლეს.

– ვნახე აუდიოჩანაწერები. ერთმანეთში საუბრობენ ნიკა გვარამია და მიხეილ სააკაშვილი, მე რა კომენტარი უნდა გავაკეთო?! ჩემთვის არავის მოუმართავს. არც ნიკა გვარამიას. ჩემი ყოფილი თანამშრომლები არიან იქ, მუშაობენ „რუსთავი 2“-ში და იცავენ „რუსთავი 2“-ის შენობას. ჩემი სამსახურის ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც წლების განმავლობაში ყოფილ პრეზიდენტს იცავდნენ, დღეს ტელეკომპანიაში მუშაობენ და იცავენ შენობას.

გახსოვთ, ალბათ, ტელევიზიაში ჩანაწერები რომ აღმოაჩინეს, მაშინ გაყარეს დაცვის ძველი თანამშრომლები, ისინი, ვინც „რუსთავი 2“-ს იცავდნენ და ამჟამად მუშაობენ იქ ყოფილი პრეზიდენტის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები. ისინი კამერებს იცავენ. როდესაც პრეზიდენტი შეიცვალა და გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტად აირჩიეს, დეპარტამენტის დაცვის მთელი შემადგენლობა გამოყარეს იქიდან და სწორედ ამ დეპარტამენტის თანამშრომლებმა დაიწყეს მუშაობა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში. ისინი არიან საკმაოდ პროფესიონალი ადამიანები, წლების განმავლობაში იცავდნენ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, მთელი დეპარტამენტი გაყარეს, რა შუაში იყვნენ ისინი, მათი პირდაპირი მოვალეობა და სამსახური იყო, პრეზიდენტის დაცვა და სწორედ ისინი გაყარეს სამსახურიდან, დღეს კი „რუსთავი 2“-ის შენობას იცავენ, – განაცხადა თემურ ჯანაშიამ. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ტყუილებისა და დემაგოგიის წრეზე დადიოდით მთელი ცხოვრება „ნაცები“, ხო?



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის აკაკი მინაშვილის თქმით, პრემიერის სიტყვასა და გზავნილს უკრაინაში სერიოზულად არავინ მიიღებს.

როგორც დეპუტატი ამბობს, პრემიერის გზავნილი არასერიოზულია.

– საქართველოს მოსახლეობას ძალიან კარგად ახსოვს, რომ როდესაც იანუკოვიჩი უკრაინელ ხალხზე ძალადობდა, მაშინ პრემიერმა ღარიბაშვილმა იანუკოვიჩის მხარე დაიჭირა, როდესაც რუსეთი ახორციელებს აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაშიც, ღარიბაშვილმა რუსეთის პოზიცია დაიჭირა და დაუპირისპირდა უკრაინელების რეალურ პოზიციას. ეს არის მთავრობა და ხელისუფლება, რომელმაც პრობლემები შექმნა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან, ამ შემთხვევაში უკრაინასთან და ეს არის მთავრობა და პრემიერი, რომელიც მოუწოდებდა საქართველოს მოქალაქეებს ძალადობისკენ. ამიტომ ცხადია, რომ მის სიტყვას არავინ სერიოზულად არ მიიღებს, თავად პრემიერი არის არასერიოზული და თავად არის ადამიანი, რომელიც ყველანაირად ქმნის პრობლემებსა და წინაღობებს, – განაცხადა მინაშვილმა. (ნიუპოსტი)

**ჰო, ღარიბაშვილის გზავნილს უკრაინაში სერიოზულად ნამდვილად არ მიიღებენ მარტივი მიზეზის გამო — ვთხოვთ, არადა უნდა მოვითხოვდეთ, ვეხვეწებით, არადა უნდა მივუთითებდეთ. ცალმხრივი კიდევ სიყვარული ვიცით ჩვენ, სტრატეგიული პარტნიორობა — არა!**



## მარტვილში საარჩევნო უბანზე გარდაცვლილი მიიყვანეს

– მკვდარი სულები სიებში გვინახავს, მაგრამ ამჯერად თავად გარდაცვლილი მოიყვანეს საარჩევნო უბნის ეზოში, რომ მის ახლო ნათესავს დაეტირა. უბნის თავმჯდომარის ნათესავი იყო გარდაცვლილი და ეზოში შემოიყვანეს რამდენიმე წუთით, რომ დაეტირა, – წერს „საია“-ს ზუგდიდის ორგანიზაციის წევრი ნინო ხუხუა სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“. (ნიუპოსტი)

## კალაძის სამინისტრო — 39 ტონა საწვავი

| N | თანამდებობა | საწვავის ხარჯი 2015 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით (ლიტრი) |
|---|---|---|
| 1 | მინისტრი | 7503,22 |
| 2 | მინისტრის მოადგილე | 6272,09 |
| 3 | მინისტრის მოადგილე | 6294,05 |
| 4 | მინისტრის მოადგილე | 5690,67 |
| 6 | დეპარტამენტის უფროსი | 6980,64 |
| 7 | დეპარტამენტის უფროსი | 3552,56 |
| 8 | დეპარტამენტის უფროსი | 1578,95 |
| 9 | დეპარტამენტის უფროსი | 1777,0 |

ორგანიზაცია „მედიატორის“ ინფორმაციით, 2015 წლის იანვარ-სექტემბერში ენერგეტიკის სამინისტროში 9 თანამდებობის პირმა, ჯამში, 39 650 ლიტრი საწვავი მოიხმარა. ამ ციფრებით დასტურდება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე თანამდებობის პირები, რომელთა შემოსავალი საკმაოდ მაღალია, დამატებით, ბიუჯეტიდან 100 000-ობით ლარის საწვავს მოიხმარენ. კვლევამ აჩვენა, რომ სამუშაო დღეებში მინისტრი და მისი მოადგილეები, საშუალოდ, 60-დან 70 ლიტრამდე საწვავს მოიხმარენ, – აცხადებს ლევან ხაბეიშვილი.

ხაბეიშვილისვე ინფორმაციით, „სამგორობა 2015“-ის ღონისძიებებისთვის გამგეობამ 17 600 ლარი გამოყო, საიდანაც 2800 ლარი ფილმის გადაღებაზე უნდა დაიხარჯოს, 450 ლარი გულსაბნევებისთვის, 300 ლარი პროექტორებისთვის და 750 ლარი ცნობადი წამყვანისთვის, 4200 ლარი ღვინისთვის, 4400 ლარი ფურშეტისთვის.

„არ დასრულდა გასართობი ღონისძიებისთვის თანხების ხარჯვა. რა სამგორობა? ან ეს 300 კაცი ვინაა, ვისაც ეპატიჟებით? რა ფურშეტი? რა ფილმის გადაღება? რა გულსაბნევი? ხალხი მშიერია! რაიონის ინფრასტრუქტურა გაუბედურებულია, ასობით ადამიანი რიგშია, რომ სოციალურად დაუცველების უფასო სასადილოში მოხვდეს. მედიკამენტებზე წერილს უარით ისტუმრებენ უსახსრობის გამო და ახლა კიდევ 17 600 ლარის გართობა? ვიდეოგადაღება და ფოტოგადაღება, ჯამში, 950 ლარი, პლუს ფილმის გადაღება 1900 ლარი?! 2800 ლარი გჭირდებათ მარტო ფოტო და ვიდეო, რომ გადაიღოთ? ჩემი არასამთავრობო მოგემსახურებათ 800 ლარად! ძალიან, ძალიან თავხედობენ! ან ეს გულსაბნევი ცალი 1 ლარი და 50 თეთრიო? 0,8 თეთრად დაბეჭდავენ ნებისმიერ სტამბაში. ფილმის გასაშვებად პროექტორი? ყველა მუნიციპალიტეტში ერთი პროექტორი აქვთ, ამაშიც ფულს ხარჯავენ. მოკლედ, სულ კორუმპირებულები და აფერისტები არიან! სულ ასე ტაშ-ფანდურში ყვლეფენ ბიუჯეტს!“ – აცხადებს ლევან ხაბეიშვილი. (პირველი რადიო)

## რუსების 59% რუსეთს აგრესორად არ მიიჩნევს

რუსული ანალიტიკური კომპანია „ლევადა-ცენტრის“ მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, რუსების 59% მიიჩნევს, რომ მათი ქვეყანა არასოდეს ყოფილა აგრესორი, ან კონფლიქტის ინიციატორი სხვა ქვეყნებთან კონფლიქტის დაწყების კუთხით. ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ იუწყება.

მხოლოდ გამოკითხულთა 7% ასახელებს რუსეთს აგრესორად მეტწილ კონფლიქტებში. 26% დარწმუნებულია, რომ უმეტეს შემთხვევაში რუსეთი თავად იყო კონფლიქტების მსხვერპლი.

გამოკითხულთა 14% დადებითად უყურებს რუსი სამხედროების საზღვარგარეთ საიდუმლო ოპერაციებში მონაწილეობას, უფრო მეტად დადებითად აფასებს 33%. ასეთ ქმედებებს მკვეთრად უარყოფითად აფასებს 8%.

რუსულენოვანი „ბი-ბი-სი“ აქვე მიუთითებს, რომ 2008 წელს რუსეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე შევიდნენ, რის შედეგადაც სამხრეთ ოსეთმა, რომელიც ფორმალურად წარმოადგენდა საქართველოს ნაწილს, დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 2014 წლის მარტში რუსმა სამხედროებმა ყირიმის ყველა სამხედრო ობიექტი და სახელმწიფო დაწესებულება დაბლოკეს, 16 მარტს კი უკრაინის ავტონომია რუსეთის შემადგენლობაში შევიდა (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კოკა ყანდიაშვილი: ცდები, მამა თეოდორე!!!



ჟურნალისტი მამა თეოდორეს (გიგნაძე) არ ეთანხმება და „ფეისბუკში“ წერს, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ ყველა კრიმინალი არ არის:

„ცდები მამა თეოდორე!!! – მე მაგათ ადვოკატად არ გამოვდგები. ნამდვილად, ამ მოძრაობის თავკაცები სრულად შეესაბამებიან ეპიტეთს – მაგრამ არა ყველა წევრი. ბევრი განათლებული, წესიერი და ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი.

მოტყუებული და ბრმად მიმდევარი – მაგრამ არა კრიმინალი. ნუ ხარშავთ ყველას ერთ ქვაბში – ძირს იარლიყები. გაგვიმარჯოს ქართველებს – როგორებიც ვართ, აი, ისეთებს. კარგ ნაცებსაც, ქოცებსაც, ზოგადად, ყველა კარგ ადამიანის. სიყვარული გაიმარჯვებს“. (news.ge)

## „საფრანგეთის პროკურორის სახელზე ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ საჩივარი შევიდა“



საფრანგეთის პროკურორის სახელზე ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ საჩივარი შევიდა. პარიზის სისხლის სამართლებრივი მართლწესრიგის ბიუროს მიერ გაცემული ცნობა „რუსთავი 2“-ს ჟურნალისტმა ვლადიმერ ივანიძემ მიაწოდა.

ცნობაში წერია, რომ მოქალაქე ინგა პავლოვას განცხადების საფუძველზე ფრანგმა სამართალდამცველებმა საფრანგეთის მოქალაქის ბიძინა ივანიშვილის მიერ 1994 წელს გაფორმებული დოკუმენტების კანონიერების შესწავლა დაიწყეს.

ვლადიმერ ივანიძის მტკიცებით, მოქალაქე ინგა პავლოვა ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მეუღლეა, რომელთანაც საქართველოს ყოფილმა პრემიერმა პარიზში იქორწინა. პარიზის მერიის არქივიდან გამოთხოვილ ცნობაში წერია, რომ ბიძინა ივანიშვილისა და ინგა პავლოვას ქორწინება ნამდვილად შედგა. ამავე ცნობაში წერია, რომ თანაცხოვრების შემდეგ პავლოვამ და ივანიშვილმა განქორწინება ერთობლივად გადაწყვიტეს. ივანიძის მტკიცებით, სწორედ ეს დოკუმენტია გაყალბებული და ბიძინა ივანიშვილმა განქორწინება ისე გააფორმა, რომ მისმა კანონიერმა მეუღლემ ამის შესახებ არაფერი იცოდა. დოკუმენტის ფაბრიკაციის მიზანი კი ერთადერთი იყო – ივანიშვილს არ მიეცა პავლოვასთვის ფრანგული კანონმდებლობით გათვალისწინებული ქონების წილი. (news.ge)

## რობერტ სტურუა: რატომ იცავთ იმ ავაზაკთა ბანდას, საქართველო რომ გაანადგურა?




რეჟისორი რობერტ სტურუა სოციალური ქსელის მეშვეობით ამერიკის ელჩს მიმართავს.

„ამერიკის ელჩს...

ძალიან მიყვარს თქვენი ქვეყანა და დემოკრატიის პრინციპები, რომელიც ამერიკის პატრიარქებმა ჩამოაყალიბეს ფრანგი გამანათლებლების ნაშრომებზე დაყრდნობით; მაგრამ მინდა შეგეკითხოთ და, იმედია, პასუხსაც მომახსენებთ (თუ სერიალი The House of Cards მთლად სიმართლე არ არის): რას ერჩით ჩემს პატარა ქვეყანას? რა სიმდიდრე აღმოაჩინეთ ჩვენს მიწაზე, ნავთობი თუ ოქრო, ასე რომ ზრუნავთ ქართველებზე? დღეს, როცა ყველაფერს უსმენენ, ხედავენ, ისე, რომ ტუალეტში შესვლა გრცხვენია, ქალის კოცნაზე ხომ არაფერს ვამბობ, პანიკური შიში მიპყრობს – კოსმოსიდან გვიცქერენ. რატომ იცავთ იმ ავაზაკთა ბანდას, საქართველო რომ გაანადგურა, მოსპო დემოკრატია, გახრწნა და ფულებით გაბერა ვილაც-ვილაც ჩინოვნიკები; რატომ ურეკავთ, არიგებთ და ასე საეჭვოდ ეხმარებით ავადმყოფს, ვისაც ნამდვილი ამერიკელი ხელსაც არ ჩამოართმევდა (მით უმეტეს, რომ CIA-მ ყველაფერი იცის?)

იქნებ ამიხსნათ, რა ბოროტება დაატყდა ჩვენს პატარა ერს, რომ ხალხის სურვილს არ ითვალისწინებთ და გვიკრძალავთ საკუთარ აზრს და გვკარნახობთ, როგორ მოვიქცეთ? თუ რაღაც დიდი სტრატეგიული საიდუმლო არ გახლავთ, ბატონო ელჩო, თუ ამის უფლება გაქვთ, დიპლომატიურად მაინც მიპასუხეთ.

ამერიკის პატრიოტი, რ. სტურუა!

P.S. თუ ინებებთ, პრეზიდენტებზე ცალკე ვისაუბროთ!“ – წერს რობერტ სტურუა „facebook“-გვერდზე. (რეპორტიორი)

## მთავარი პროკურორობის კანდიდატი 19 ნოემბერს გახდება ცნობილი



იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, მთავარი პროკურორობის კანდიდატის ვინაობა 19 ნოემბერს გაირკვევა. წულუკიანმა საპროკურორო საბჭოს ფუნქციები კიდევ ერთხელ განმარტა და განაცხადა, რომ საბჭოში არის 8 პროკურორი, 2 მოსამართლე, 1 ადვოკატი, 1 აკადემიური წრეებიდან წარმომადგენელი და 1 დეპუტატი. მისი თქმით, ამ საბჭოს ფუნქცია არ არის რომელიმე საქმეზე გამოძიების ჩატარება ან პროკურატურის ორგანოებისთვის მითითება, ესა თუ ის საქმე როგორ გამოიძიოს.

„დღეისთვის შემოსულია 3 კანდიდატურა. ესენია: კახი კახიშვილის, ირაკლი შოთაძისა და პაატა შავაძის. კახი კახიშვილმა მოხსნა კანდიდატურა და აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, მე მის შეყვანას სამკაციან სიაში ველარ შევძლებ. კონსულტაციები, იუსტიციის მინისტრსა და აკადემიურ წრეებს, არასამთავრობოებს შორის გაგრძელდება 13 ნოემბრამდე. 19 ნოემბერს, 11 საათზე საბჭო შეიკრიბება, სამი პირისგან შემდგარ სიას განიხილავს, კენჭს უყრის და რომელი კანდიდატურაც მიიღებს უფრო მეტ ხმას, ის იქნება წარდგენილი მთავრობის წინაშე. ჩვენ შევთანხმდით იმ თავისებურებებზე, როგორ უნდა ჩატარდეს კენჭისყრა 19 ნოემბრის სხდომაზე, ჩვენ უნდა გვქონდეს ბიულეტენები, ყუთი, დამკვირვებლებსაც მოვიწვევთ ვისაც სურვილი ექნება, მათ შორის, მედიას და 19 ნოემბრის შემდეგ მე უკვე შევძლებ, რომ გამარჯვებული კანდიდატი წარვუდგინო მთავრობას, რომელიც, თავი მხრივ, ამ კანდიდატს ასარჩევად გადააგზავნის პარლამენტში“, – განაცხადა წულუკიანმა.

რაც შეეხება იმას, რომ კანდიდატებს შორის უნდა იყოს ერთ-ერთი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი, წულუკიანის განცხადებით, ჯერჯერობით ქალი კანდიდატურა არ შესულა და თუ ეს ასე იქნება ბოლომდე, მაშინ იუსტიციის მინისტრს მოუწევს შეარჩიოს ქალი-კანდიდატი და შეიყვანოს სამკაციან სიაში. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თურქეთი საპრეზიდენტო მმართველობაზე გადადის



თურქეთის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში, პრეზიდენტ ერდოღანის პარტიამ, „განვითარება და სამართლიანობამ“ გაიმარჯვა. თურქეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, „განვითარება და სამართლიანობამ“ ამომრჩეველთა ხმების 49,41 პროცენტი მიიღო.

ერდოღანის პარტიას ეს საშუალებას აძლევს, პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავდეს და, შესაბამისად, კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანოს.

როგორც ცნობილია, ერდოღანი საპარლამენტო მმართველობის საპრეზიდენტოთი შეცვლას გეგმავს. თურქული პრესის ინფორმაციით, მმართველობის ფორმაზე კენჭისყრა თავდაპირველად პარლამენტში გაიმართება. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, ქვეყანაში საერთო სახალხო რეფერენდუმი დაინიშნება.

რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილზე 25,38 პროცენტით „სახალხო რესპუბლიკური პარტია“ გავიდა. 11,93 პროცენტი დააგროვა „ნაციონალურმა მოძრაობამ“. „დემოკრატიულმა პარტიამ“ ხმების 10,7 პროცენტის მოგროვება შეძლო. (ipress.ge)

## ისლამისტებმა 50 რუსი სამხედრო მოკლეს



„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა სირიაში სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი მხინი აიღეს.

როგორც „ბიბისი“ წერს, შეტაკებაში 50 რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. სირიის ადამიანის უფლებათა საბჭოს სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით, ისლამისტებმა იერიში თვითმკვლელი ტერორისტების შეტევით დაიწყეს. ბრძოლები ძირითადად ქრისტიანებით დასახლებულ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

„როიტერის“ განმარტებით, მხინი დამასკოსა და ჰომსის დამაკავშირებელი სტრატეგიული გზიდან 20 კილომეტრში მდებარეობს. ამდენად, ქალაქის აღებით ისლამისტების კონტროლქვეშ ჰომსის აღმოსავლეთით მდებარე რეგიონების დიდი ნაწილი გადავიდა. (ipress.ge)

# „ხშირად მისაუბრია აფხაზებთან, რომ კრასნოდარის იქით მათი პერსპექტივა არ მიდის“

აფხაზეთში დღეს ისევ ის სიტუაციაა, რაც ერთი წლის წინათ იყო, როცა რაულ ხაჯიმბა მივიდა ე.წ. ხელისუფლების სათავეში. როგორც მაშინ, დღესაც დგას ხალხი სოხუმის ცენტრში და ცვლილებებსა და კეთილდღეობას ითხოვს. რა შეიცვალა, ან რა არ შეიცვალა ამ ერთი წლის განმავლობაში აფხაზეთში? ვინ როგორ აღიქვამს სოხუმიდან გაგზავნილ მესიჯებს და რატომ აწყობთ აფხაზებს საქართველოსთან „ორმაგი თამაშის“ თამაში?

„for.ge“ საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტს არჩილ გამზარდიას ესაუბრა:

– აფხაზები დღეს, ისევე როგორც ერთი წლის წინათ, საპროტესტო აქციებს მართავენ, პრეზიდენტის გადადგომასა და ქვეყანაში ცვლილებების გატარებას ითხოვენ. რეალურად რა პრობლემები აწუხებთ მათ და როგორ შეიძლება აფხაზური საზოგადოების მიერ გაგზავნილი მესიჯის აღქმა?

– დიდი ხანია, ამ თემებზე ვმუშაობ, მიმოწერაც მაქვს ბევრ მათგანთან. მინდა აღვნიშნო, რომ დღეს მთელ საქართველოში ყველაზე რთულ მდგომარეობაში აფხაზები არიან. თითქოს, გამარჯვებულები არიან, მოახდინეს ტერიტორიის ოკუპაცია და ქართველებიც დევნილებად აქციეს, მაგრამ სინამდვილეში, ისინი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

პირველი – მათ აქვთ დემოგრაფიული პრობლემა – ვეღარ მრავლდებიან. აქვთ იდენტობის პრობლემა – აღარ იციან, ვისთან უნდა იურთიერთონ. აფხაზეთი საკმაოდ მსუყე ლუკმაა და მათ ინტერესზე რომ არ იქნება მორგებული ბევრი რამ, ამასაც აცნობიერებენ. მიმდინარეობს მძიმე პროპაგანდა ქართველებთან მიმართებაში. ხშირად მისაუბრია მათთან, რომ მათ საქართველოს გარდა სხვა გზა არ გააჩნიათ მსოფლიოსთან დასაახლოებლად, რომ კრასნოდარის იქით მათი პერსპექტივა არ მიდის, რომ ახალგაზრდებს ევროპულ უნივერსიტეტებში, მსოფლიოს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებსა თუ კლუბებში მოსახვედრად შანსი არ აქვთ. მათ განვითარება სჭირდებათ, განათლების მიღების შანსი კი არ არსებობს. რეალურად, პერსპექტივები ძალიან დაბალი აქვთ, რომ ისინი ასიმილირდებიან სხვა ტომებთან და ეს პრობლემები შიდა კონფლიქტებში გადადის. ისინი ვერ ხვდებიან, რომ ეს ყველაფერი ერთმანეთთან წინააღმდეგობრივ კავშირს ქმნის.




დრო გადის, ეპოქა თავის მოთხოვნებს ქმნის, ეს კრიზისი ღრმავდება, თუმცა ეს ყველაფერი ჩვენს სასარგებლო სიტუაციას ჯერ არ ქმნის.

დრო სჭირდება იმასაც, რომ მათ საქართველოსგან რეალური საფრთხე და საშიშროება არ იგრძნონ. 2000-იანი წლების დასაწყისში სიტუაცია ბევრად გამოსწორებული იყო და გაუმჯობესებულიც, თუმცა წინა ხელისუფლების პერიოდში ნეგატიურმა დამოკიდებულებამ და საქართველოს მხრიდან საფრთხის განცდის არსებობამ, რაც არ უნდა რეალური და სამართლიანი ყოფილიყო ის, კიდევ უფრო დააშორა ერთიან საქართველოს შემადგენლობაში შესვლის, თუნდაც თეორიული შანსი. პროცესები მიდის, ისინი გრძნობენ უკმაყოფილებას და დისკომფორტს იმის გამო, რომ ვერ ვითარდებიან, რომ

– თქვენ ბრძანეთ, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში სიტუაცია ბევრად გამოსწორებული და გაუმჯობესებული იყო, რა იგულისხმეთ?

– მე კარგად მახსოვს ეს პროცესები, იყვნენ დევნილები, სიტუაციაც დაძაბული იყო, მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობები ბევრად უფრო კარგად იყო განვითარებული, ხალხი გადადიოდა და გადმოდიოდა, ბევრად მშვიდობიანი განწყობა იყო. 2003 წლის შემდეგ, ეს შენელდა და 2008-ის მერე გასაგებია, რაც მოხდა.

დღეს სოხუმის თეატრალურ მოედანზე დგას ხალხი, რომელიც იგივე მოთხოვნებს უყენებს ერთი წლის წინათ არჩეულ პრეზიდენტ ხაჯიმბას, რა მოთხოვნებსაც უყენებდა მის წინამორბედ ანქვაბს 2014 წელს. ძირითად მოთხოვნად, კორუფციასთან და დანაშაულთან ბრძოლის გარდა, ისევ რჩება სუვერენიტეტის გამყარების პრობლემა და რეფორმები.

– რას ელოდებოდნენ აფხაზები, რომ ერთ წელიწადში არსებულ პირობებში, ხაჯიმბა სუვერენიტეტისა და მათი დამოუკიდებლობის გამყარებას შეძლებდა?

– აი, ეს არის პრობლემა. მათ მართლაც გადაჭარბებული მოლოდინები აქვთ და კარგად უნდა გაიაზრონ ის, რომ შეუძლებელია, მათ ეს სუვერენიტეტი მიიღონ. მაგრამ, როცა გაიაზრებენ, მერე მოკავშირედ ვის ხედავენ, თავიანთ გენეტიკურ ერთიანობას დანარჩენ საქართველოსთან და ქართველებთან თუ რუსებთან? ეს არის მათი მთავარი პრობლემა, რომლის კარგად გააზრებაც სჭირდებათ მათ.

საუბრობენ იმაზე, რომ აფხაზეთიდან საქართველოში ხშირად გადმოდიან, მათ შორის მთავრობის მაღალჩინოსნები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. ხმამაღლა არ აცხადებენ, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ჯანდაცვის სამინისტროს თანხებიც აქვს გამოყოფილი მათ დასაფინანსებლად. ორმაგ თამაშს თამაშობენ აფხაზები და სადამდე შეიძლება გაგრძელდეს ის?

– იმის მიუხედავად, რაც ჩვენ გვაქვს გადატანილი, აფხაზეთი დანარჩენი საქართველოა. ქართული სახელმწიფო სთავაზობს მათ ყველა იმ პერსპექტივას, რაც მსოფლიო ასპარეზზე აქვს მას – ჯანდაცვა იქნება, განათლება თუ სოციალური მიმართულებები, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს ჯანდაცვის სფეროში გამოიხატა. თუ ასე გაგრძელდა პროცესები, სავსებით შესაძლებელია, ახალგაზრდა თაობამ მიიღოს ეს შეთავაზებები განათლების მიმართულებით.

– ამის თქმის საფუძველს ის კონტაქტები გაძლევთ, რაც აფხაზეთის მოქალაქეებთან გაქვთ?

– ეს ლოგიკური პროცესია. რუსეთთან მიმართებაში მათ შეიძლება მიიღონ მხოლოდ მინიმალური არსებობის სიკეთეები, საქართველოს მხრიდან მათ ეს ყველაფერი შეიძლება მიიღონ ჯანდაცვის სფეროში, სოციალურ სფეროში, საერთაშორისო განათლების მიმართულებით. მათი ერთადერთი გადარჩენის გზა, იმ ეთნიკური ნიშნით, რასაც წარმოადგენენ, არის საქართველოსთან ურთიერთობაში და საქართველოსთან ერთიანობაში.

– სოხუმში მიმდინარე პროცესებში ხომ არ მოხდება რუსეთის მხრიდან კიდევ უფრო უხეში ჩარევა, რაც კიდევ უფრო დააზარალებს თვითონ აფხაზების თვითგამორკვევის პროცესს და გაამყარებს რუსეთის პოზიციებს?

– პირველი – ეს ხალხი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა უიმედობისა და უპერსპექტივობის განცდამ. მეორე – ლიდერების დამოკიდებულებამ ხალხთან მიმართებაში. ისინი წინააღმდეგობაში მოვიდნენ საზოგადოების ინტერესებთან და ვერ შეინარჩუნეს პოსტი დიდი ხნის განმავლობაში. არძინბა, ბაღაფში... სხვათა შორის, ბაღაფშის გამარჯვება განაპირობა იმანაც, რომ ცოლი ქართველი ჰყავდა და მას გალის მცხოვრებლებმაც მისცეს ხმა, თუმცა შემდეგ სიტუაცია შეიცვალა... ანქვაბი, დღევანდელი ხელმძღვანელი ხაჯიმბა, ისინი მოქმედებდნენ და მოქმედებენ საკუთარი კარიერისტული მიზნებისთვის და ნაკლებად აინტერესებთ ხალხზე ზრუნვა. ეს ყველაფერი სწორედ წინააღმდეგობრივ კავშირებს იწვევს, იწვევს იმ სიტუაციას, რაც დღეს აფხაზეთშია.

რაც შეეხება რუსეთს, ის ძალიან ფრთხილად მოქმედებს დღემდე და ხისტი მოქმედებებისგან თავს იკავებს. ის თავს აფხაზეთის მფარველად მიიჩნევს, ყოველ შემთხვევაში, ასეთ მანდატს იღებს თავის თავზე, ეს ბრჭყალებში, რა თქმა უნდა, მაგრამ როგორც კი, რუსეთი მათთან დაპირისპირებაში შევა, მაშინ უკვე, სხვა რეალობა იქნება და აბსოლუტურად სხვა პროცესები დადგება. (for.ge)

# სსფ-მა ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ახალი პროგნოზებიც გამოაქვეყნა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შეფასებით, 2015 წლის სექტემბერში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა 2,2 პროცენტი შეადგინა და აგვისტოსთან შედარებით 0,3%-ით შემცირდა. წელს ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015 წლის პირველ კვარტალში დაფიქსირდა – 3,2%. საერთო ჯამში კი, 9 თვის მონაცემებით ეკონომიკურ ზრდა 2,7 პროცენტია. ეს ნიშნავს, რომ ის 2,3%-ით ჩამორჩება 2015 წლის თავდაპირველ პროგნოზს, 0,7%-ით აჭარბებს დაკორექტირებულ მაჩვენებელს და 0,3% აკლია ახალ, იმედისმომცემ შედეგამდე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენელი აზიმ სადიკოვი იმედოვნებს, რომ წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდა 2%-ს ნამდვილად გადააჭარბებს. „საქართველოს უკეთესი პირობები აქვს, ბიზნესგარემოს, ასოცირების შეთანხმების გამო და მოსალოდნელია, რომ მომდევნო 5 წლის განმავლობაში საქართველოს რეგიონის სხვა ქვეყნებზე უკეთესი ზრდა ექნება“, – აღნიშნა სადიკოვმა.

სადიკოვის განცხადებით, საქართველოში მოხმარება და ინვესტიციები შემცირებულია, ასევე დაბალია ფულადი გზავნილების მოცულობაც, თუმცა არის პოზიტიური ასპექტები: ეკონომიკის ზრდა მაინც მდგრადია და 2.5%-ზე მაღალია, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზებზე მეტია.

მან ლარის გაუფასურებაზეც ისაუბრა, გამოყო თურქეთსა და რუსეთში ვალუტების დევალვაცია.

„მიუხედავად ყველაფრისა, ლარის გაუფასურება უფრო „ხავერდოვანი“ იყო, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნების ვალუტების, რადგან საქართველოში ვარდნა ერთბაშად არ მომხდარა“, – აღნიშნა სსფ-ს წარმომადგენელმა. მანვე აღიარა, რომ ქვეყნის ეკონომიკისთვის პრობლემაა ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის შემცირება და დოლარიზაციის მაჩვენებლის მატება.

„ხალხი წუხდა ანაბრებზე და გადაიტანეს დანაზოგები უცხოურ ვალუტაში, სესხების აღებას კი ლარში ცდილობენ. ეს კი ნიშნავს, რომ ბანკებს თავიანთი საბალანსო უწყისები უნდა ჰქონდეთ ზეწოლის ქვეშ. ბანკები ზღუდავენ აშშ დოლარში ანაბრებზე პროცენტს, ამასთანავე, ლარში კრედიტებზე პროცენტი იზრდება“, – ამბობს სადიკოვი.




სსფ-მა ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ახალი პროგნოზებიც გამოაქვეყნა. ანგარიშის მიხედვით, საქართველოში 2015 წელს 2%-იანი, 2016 წელს – 3%-იანი, 2020 წელს კი 5%-იანი ზრდაა მოსალოდნელი.

ფონდი მიიჩნევს, რომ გლობალური ეკონომიკური ზრდა 2015 წელს 3.1% იქნება, ანუ 0.3%-ით ნაკლები, ვიდრე 2014 წელს და 0,2%-ით ნაკლები ივლისში გამოქვეყნებულ პროგნოზთან შედარებით.

რაც შეეხება საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, ფონდის ანგარიშის მიხედვით, რუსეთში მშპ 3,8%-ით შემცირდება, უკრაინაში – 9%-ით, აზერბაიჯანში კი 4%-იანი ზრდაა მოსალოდნელი, სომხეთში – 2,5%-იანი, ხოლო თურქეთში ეკონომიკა 3%-ით მოიმატებს.

სადიკოვი სამ გლობალურ შოკს ასახელებს, რამაც რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე მოახდინა გავლენა. ესენია: ნავთობზე ფასის კლება (110 დოლარიდან 50 დოლარამდე), რუსეთის ეკონომიკის ვარდნა და სავალუტო რყევა.

სსფ-ს მოსაზრებით, ეკონომიკის გამოცოცხლება განვითარებულ ქვეყნებში ნელ-ნელა დაიწყება მაშინ, როდესაც აქტიურობა განვითარებად ეკონომიკებში შემცირდება. ფონდის ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ კაპიტალის შედინების შენელების, ვალუტის ზეწოლის გამო, რისკები გაიზარდა განვითარებადი ბაზრებისთვის. ამიტომ განვითარებად ქვეყნებში ზრდის ტემპის მატება 2016 წლიდანაა მოსალოდნელი.

გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებზე უნდა ითქვას ისიც, რომ 2012 წლის იანვრიდან „საქსტატი“ ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის ყოველთვიურ წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. შესაბამისად, რეალური კვარტალური გაანგარიშებები შესაძლოა, განსხვავდებოდეს წინასწარი შეფასებისგან. (for.ge)

## სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მტაცებელი თევზი
2. გოგი ქავთარაძე ფილმში „განგაში“
3. „დიდოსტატის მარჯვენა“ შორენას მოახლე ქალი
4. აკიმის ბაბუა
5. კომპოზიტორი ბედერჟიკ ...
6. მტაცებელი კატისებრ. ოჯახიდან
7. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი“
8. სომხური გვარის ნაწილაკი
9. ტროპიკული ნაყოფი
10. ტროპიკული ნაყოფი
11. დონ კიხოტის ცხენი
12. სტალინის დედა
13. მაგნიტი
14. ჯარისკაცის სამოსი
15. რგოლებიანი პლანეტა
16. იტალიური ავტომობილი
17. სახელმწიფო ევროპაში
18. ბალერინა ... ნიორაძე
19. ჩუქჩების ქოხი
20. მწერალი ... სვიფტი
21. ბაზრის ფასები
22. ჟუჟა სამეფო სახ- ...
23. მისი დედაქალაქია ტირანა
24. საბერძნეთის კუნძული
25. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცნება“
26. ცოდვების გამოსყიდვის ფურცელი
27. წარწერა საფლავის ქვაზე
28. ხარჯი, რომელსაც ოჯახსმოშორებული პირი იხდის
29. ამერიკის შეერთებული ...
30. ... გაგარინი
31. სახელმწ. სამხ. აზიაში
32. ტბა პერუში
33. კატეგორიული მოთხოვნა
34. მომღერალი ბათუ ...
35. ლითონის ფული
36. მსახიობი ... პელტროუ
37. ყმაწვილი ცვილის ფრთებით
38. დათმობაზე წასვლა
39. ავტორბოლა
40. მსახიობი ... ბლუმი
41. ნახ. კუნძული ევროპაში
42. ენათმეცნიერების დარგი
43. იგავი
44. იგავის დასკვნა
45. თამაში ...-პონგი
46. ესპანური ღვინო
47. სიმ-კაცრით განთქმული ანტიკური ქალაქი სახელმწიფო
48. ერთნახადი არაყი
49. სანჰიგიენო-ნური დანესებულება
50. მითიური ცხენკაცი
51. პავაროტი როგორც მომღერალი
52. მწერალი ... კიზი
53. გამარჯვების ქალღმერთი
54. სოფელი ბორჯომის რაიონში
55. ჟან რენო ფილმში
56. მსახიობი ჟან ...
57. ლორის ცხვირი
58. ციხესიმაგრე თბილისში
59. ქალაქი საფრანგეთში
60. ჟაკ-... კუსტო
61. ლუდის მასალა
62. კომპოზიტორი ნინო ...
63. ქინქლა
64. თირკმლების ექიმი
65. დიდი გარმონი
66. აკაკი წერეთლის ნაწარმოები
67. მწერალი დენ ...
68. იაპონური ჭიდაობა
69. საოპერო პარტია
70. ბოსტნეული
71. პოეტი აკაკი ...
72. უბედურების სიგნალი
73. სახელმწ. სან-ტომე და ...
74. სამაგიდო თამაში
75. რეჟისორი ლარს ფონ ...
76. მამათა დიდი მონასტერი
77. მასობრივი გადარბენა
78. სამკურნალო მცენარე
79. მატონიზირებელი სასმელი
80. ქართ. რქის სასმისი
81. ადამიანშებმული ეტლი
82. შტატი აშშ-ში
83. მსახიობი ... ლი ჯონსი
84. ყმაწვილი კაცი
85. ... დასთეს, იმას მოიმკი
86. პლანტაციის მეპატრონე
87. მომღერალი ალანის ...
88. მსახიობი ... ტაილერი
89. მათემატიკის ნაწილი
90. ქალაქი კანადაში
91. ტყავის ზოლი ფეხსაცმელზე
92. ცეცხლის ენა
93. ტბა აფრიკაში
94. რეჟისორი გაი ...
95. მომღერალი ... მინოუგი
96. მინი ბოულინგი
97. ოსური ცეკვა
98. კვერცხის თეთრი შიგთავსი
99. გულსაბნევი
100. მსახიობი ... იოვოვიჩი
101. მსახიობი ... პაპანოვი
102. ანსამბლი „დროის მანქანა“ სოლისტი ანდრეი ...
103. რიცხვი 3,14
104. ზონარზე ასხმული მძივები
105. მდინარე აფრიკაში
106. გალაქტიკა: ანდრომედას ...
107. იაკობ ცურტაველი. „... წამება“ (შემოკლებული სახელწ.)
108. საბჭოთა პერიოდის სატირულ იუმორისტ. ტელეჟურნალი
109. გამოცდა კითხვარებით
110. მხ/ფ „მაგდანას ...“
111. მსახიობი მერილინ ...
112. მოგზაური ... პოლო
113. საგაზეთო პუბლიკაცია
114. ... ძედუნი
115. ჟან რენო ფილმში
116. მსახიობი ანდრეი ...
117. დიდი მარხვის წინა კვირა
118. მსახიობი გოიკო ...
119. ძაღლის ჯიში
120. ახალი ზელანდიის მკვიდრი
121. ... მურომეცი
122. მდინარე რომში
123. მომღერალი პერი ...
124. მომღერალი ... სვიფტი
125. ცირკის ტანმოვარჯიშე
126. მსახიობი ... კრუზი
127. მწერალი ... კონან დოილი
128. სატელეფონო სიტყვა
129. მხატვარი ... ჯაფარიძე
130. ყურის ანთება
131. ეს ... ბედნიერ დღეს გაუმარჯოს
132. ... გაფრინდაშვილი
133. ბედი
134. მექსიკელის ფერმა
135. ტაბლეტი
136. ყვავილი
137. ნაჭრის წვეტიანი ქუდი
138. გოგოლის მოთხრობა
139. ნამუსი
140. მომღერალი ... ვაიკულე
141. ... ტიმოშენკო

პასუხები: 1. ბარაკუდა; 2. ყარამანი; 3. ვარდისახარი; 4. პიპინია; 5. სმეტანა; 6. იაგუარი; 7. პან; 8. ტერ; 9. ავოკადო; 10. ანანასი; 11. როსინანტი; 12. კეკე; 13. ანდამატი; 14. ფარაჯა; 15. სატურნი; 16. „ფიატი“; 17. დანია; 18. ირმა; 19. იარანგი; 20. ჯონათან; 21. ნიხრი; 22. მარინო; 23. ალბანეთი; 24. კრეტა; 25. ათი; 26. ინდულგენცია; 27. ეპიტაფია; 28. ალიმენტი; 29. შტატები; 30. იური; 31. მალაიზია; 32. ტიტიკაკა; 33. ულტიმატუმი; 34. კრავეიშვილი; 35. მონეტა; 36. გვინეტ; 37. იკაროსი; 38. კომპრომისი; 39. რალი; 40. ორლანდო; 41. სკანდინავია; 42. ფონეტიკა; 43. არაკი; 44. მორალი; 45. პინგ; 46. ხერესი; 47. სპარტა; 48. რახი; 49. აბანო; 50. კენტავრი; 51. ტენორი; 52. კენ; 53. ნიკე; 54. ცემი; 55. „ლეონი“; 56. მარე; 57. დინგი; 58. ნარიყალა; 59. ავინიონი; 60. ივ; 61. ალაო; 62. როტა; 63. მუმლი; 64. უროლოგი; 65. ბაიანი; 66. „ბაში-აჩუკი“; 67. ბრაუნი; 68. სუმო; 69. არია; 70. ბადრიჯანი; 71. წერეთელი; 72. სოს; 73. პრინსიპი; 74. ნარდი; 75. ტრიერი; 76. ლავრა; 77. კროსი; 78. ასკილი; 79. ყავა; 80. ყანწი; 81. რიქშა; 82. იუტა; 83. ტომი; 84. ჯეელი; 85. რასაც; 86. პლანტატორი; 87. მორისეტი; 88. ლივ; 89. ტრიგონომეტრია; 90. მონრეალი; 91. რანტიე; 92. ალი; 93. ნიასა; 94. რიჩი; 95. კაილი; 96. კეგლი; 97. სიმდი; 98. ცილა; 99. ბროში; 100. მილა; 101. ანატოლი; 102. მაკარევიჩი; 103. პი; 104. კრიალოსანი; 105. ნილოსი; 106. ნისლეული; 107. შუშანიკის; 108. „ოქროპირი“; 109. ტესტი; 110. ლურჯა; 111. მონრო; 112. მარკო; 113. სტატია; 114. მაო; 115. „რონინი“; 116. მირონოვი; 117. ყველიერი; 118. მიტიჩი; 119. სენბერნარი; 120. მაორი; 121. ილია; 122. ტიბრი; 123. კომო; 124. ტეილორი; 125. აკრობატი; 126. ტომ; 127. არტურ; 128. ალო; 129. უჩა; 130. ოტიტი; 131. იმ; 132. ნონა; 133. სვე; 134. რანჩო; 135. აბი; 136. ია; 137. ჩაჩი; 138. „ვიი“; 139. სინდისი; 140. ლაიმა; 141. იულია. იკითხება: კომში.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## ქართველი გოგონების სიმპათია მარტოხელა აღარ არის — როსტო შეყვარებულია



ლევან როსტოშვილი ტელეეკრანზე აღარ ჩანს. თავის დროზე ნანუკა ჟორჟოლიანთან სიმპათიური ბიჭის გამოჩენამ ბევრი ქართველი გოგონა დააინტერესა. მით უმეტეს, მალევე ლევან როსტოშვილის პირადი ამბების შესახებაც ბევრი დაიწერა და ცნობილი გახდა, რომ მას რომანი ჰქონდა უკრაინელ სპორტსმენთან, იანა კლაჩკოვასთან, რომელთანაც შვილი შეეძინა. წყვილის ქორწილი არ შედგა, ლევანი ამბობდა, რომ ქორწინებისთვის მზად არ ყოფილა, თუმცა იანას უყვარდა. როსტოსა და იანას ურთიერთობა აღარ გაგრძელდა, ლევანი მას შემდეგ მარტო იყო, თუმცა გარკვეული პერიოდია, მის ცხოვრებაში ახალი გოგონა გამოჩნდა. ნატულია ხატიაშვილი საკმაო ხანია როსტოსთან ერთადაა. ფოტოზე კი, რომელზეც ერთად არიან გამოსახულნი, მეგობრები წერენ, „ქორწილი არ გამოგვაპაროთო“. როგორც ჩანს, წყვილი ძალიან ბედნიერია.

*fortuna.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## კედელს მიღმა დანახვა შესაძლებელია



კედელი განვითარების მეორე ეტაპზე გადავიდა და უკვე არა მხოლოდ ყურები, არამედ თვალებიც აქვს – მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა ახალი მოწყობილობა შექმნეს, რომლიც ვაიფაი სიგნალების დახმარებით კედელს იქით სილუეტს აღიქვამს. ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ სისტემა ხედავს არ მხოლოდ სილუეტს, არამედ მის მოძრაობას, სუნთქვასა და გულისცემასაც ზომავს. მოწყობილობა 90-პროცენტიანი სიზუსტით ზომავს, ვინ იმყოფება კედლის უკან. მეცნიერების თქმით, გამოგონება კარგი საშუალებაა მარტოხელა ავადმყოფი ადამიანებისთვის. თუ ავადმყოფი დაეცემა ან სიცოცხლეს შეწყვეტს, შესაძლებელი იქნება სასწრაფოს დროული გამოძახება. მანამდე მსგავსი მოწყობილობა კემბრიჯის უნივერსიტეტში შექმნეს, რომელსაც დაბალი სიხშირე ჰქონდა და ამ ახალი მოწყობილობის შესაძლებლობების ნახევარსაც ვერ ავლენდა.

*Correspondent.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ვანიკო თარხნიშვილი დაქორწინდა — ვინ არის მისი რჩეული?



ვანიკო თარხნიშვილი მეორედ დაქორწინდა. მისი რჩეული ნუცა გამცემლიძეა. წყვილი ერთად მუშაობს. ვანიკოსა და ნუცას ქორწილი 31 ოქტომბერს სასტუმრო „რუმსში“ შედგა. სასტუმროს ულამაზეს ეზოში მათ ხელი რომანტიკულ გარემოში მოაწერეს. როცა პატარძალმა ხელი მოაწერა, ვანიკომ, როგორც სჩვევია, ეს მოწონების ჟესტით გამოხატა. ქორწილს საკმაოდ ბევრი ცნობილი სახე ესწრებოდა, მათ შორის კრისტი ყიფშიძე, ბახვა ბრეგვაძე, გიო ხუციშვილი და სხვები. ვანიკო თარხნიშვილი ერთ-ერთი პირველი პრომოუტერია საქართველოში. ის ჯერ „კოკა-კოლაში“ მუშაობდა, შემდეგ კი მაკა ასათიანთან ერთად მოდის ბიზნესში ჩაერთო. ფეშენშოუების გარდა, აკეთებდა უამრავ სხვადასხვა ღონისძიებას. შვიდი წლის განმავლობაში პრომოუტერი გახლდათ, შემდეგ კი გადაწყვიტა, აფრიკაში, კერძოდ, სიერა-ლეონეში გამგზავრებული და ოთხი წლის განმავლობაში იქ, პარტნიორებთან ერთად, ბიზნესში იყო ჩართული. საქართველოში ორი წლის წინათ დაბრუნდა, აქაც ბიზნესში ჩაერთო და „ჩემი ცოლის დაქალების“ ფილმში გადაღებაც მოასწრო. ვანიკოს არასდროს უყვარდა პირად ცხოვრებაზე საუბარი. ჰყავდა მეუღლე, რომელსაც გაშორდა. მეტი ჟურნალისტებისთვის არაფერია ცნობილი მისი პირადი ამბების შესახებ.

*fortuna.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## სინგაპურელები ყველაზე ჯანმრთელი ერია



მსოფლიო ბანკისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დახმარებით ჩატარდა კვლევა, რომლის საშუალებითაც ყველაზე ჯანმრთელი ერი გამოვლინდა. კვლევაში მხოლოდ ის ქვეყნები მონაწილეობდნენ, რომელთა მოსახლეობაც 1 მილიონს აჭარბებდა.

ჯანმრთელობის დონეს ისეთი ფაქტების საფუძველზე ამოწმებდნენ, როგორიცაა სიცოცხლისუნარიანობის ზოგადი მაჩვენებელი, სიკვდილის გამომწვევი მიზეზები, სიკვდილიანობის მიზეზები ასაკობრივ ჯგუფებში და ა.შ. კვლევას, ასევე, ისეთი რისკ-ფაქტორების საფუძველზე ატარებდნენ, რომლებსაც ჯანმრთელობაზე ცუდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ: მწეველთა რაოდენობა ახალგაზრდებს შორის, ქოლესტერინისა და წნევის მაღალი დონე, სიმსუქნისა და შიდსის გავრცელების დონე, გარემოს დაბინძურება და ა.შ. პირველ ადგილზე სინგაპური გავიდა, მეორეზე – იტალია, ხოლო მესამეზე – ავსტრალია. პირველ ათეულში მოხვდნენ შვეიცარი, იაპონია, ისრაელი, ესპანეთი, ნიდერლანდები, შვედეთი და გერმანია, რომელიც ათეულს ხურავდა. სიის ბოლოში აფრიკის ქვეყნები სვაზილენდი, ლესოტო და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა აღმოჩნდნენ. მიუხედავად მსოფლიო დონის კვლევისა, ჯანმრთელობის ცნება სხვადასხვანაირად შეიძლება განიხილებოდეს. თუ მასში ცხოვრების ხარისხს ვგულისხმობთ და არა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას, მაშინ მაღალ ქულას მიიღებენ ის ქვეყნები, რომლებსაც დაბალი შემოსავალი აქვთ, მაგრამ ცხოვრებით კმაყოფილი არიან. მაგალითად, კვლევაში ჩადი 142-ე ადგილზე გავიდა, მაგრამ სხვა კვლევის თანახმად, ამ ქვეყნის მცხოვრებლები ყველაზე ჯანმრთელები არიან. მოდი და არკვიე მტყუან-მართალი.

*Interfax.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## როგორ ულოცავენ „მის საქართველო 2015“-ს გამარჯვებას: „ვამაყობ შენით! მიყვარხარ“



ცნობილი გახდა, რომ „მის მსოფლიო 2015“-ს საქართველოს ნუკა ყარალაშვილი წარადგენს. ნუკამ სამოდელო კარიერა „იმიჯ ცენტრში“ დაიწყო, თუმცა მოგვიანებით მოდელით მილანში დაინტერესდნენ.

24 წლის ქართველი ლამაზმანი სოციალურ ქსელში უამრავ მილოცვას იღებს. ზოგიერთი მათგანი დარწმუნებულია, რომ სწორედ ნუკა გახდება „მის მსოფლიოს“ ტიტულის მფლობელი.

– შენ გაიმარჯვებ!

– გილოცავ, ნუკი, ძალიან გამიხარდა, იმსახურებდი.

ანუკა არეშიძე: „შენ ამას ნამდვილად იმსახურებდი! გილოცავ! ვამაყობ შენით! მიყვარხარ“.

– შენ ხარ ყველაზე ლამაზი მის საქართველო, გილოცავ! გისურვებ ულევ სიხარულს!

– ძალიან გამიხარდა. ყოჩაღ ნუკიტოდ'დ'დ' ღირსეული გვირგვინია.

*reitingi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ინგლისელმა მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული სოსისი მოამზადა



ყველაზე ძვირად ღირებული სოსისი ცალი 37 ფუნტი (57 აშშ დოლარი) ღირს, რაც დაახლოებით, 100-ჯერ მეტია ჩვეულებრივი სოსისი ფასზე. მისი შემქმნელი ჰემპშირის საგრაფოში მცხოვრები ოლდერშოტელი ყასაბი, კევინ ტერნერია. კევინი აცხადებს, რომ მისი ნაწარმი სხვებს არ ჰგავს და ისეთი შემადგენლობისაა, რომ ღირს კილორამში 700 ფუნტის (1079 დოლარი) გადახდა.

დელიკატესი ღორის ხორცს, ტრიუფელს, ძვირად ღირებულ დაობებულ ყველს, თეთრ სოკოსა და 1947 წლის ჩამოსხმა პორტვეინს შეიცავს. რაო, ახლაც დაინანებთ ფულსო?

ტერნერმა აღნიშნა, რომ ღვინო, რომლითაც სოსისია დამზადებული 450 ფუნტი ღირს, ღორის ხორცის კილო 25 ფუნტი, ტრიუფელი 70 ფუნტი, თეთრი სოკო 50 ფუნტი. ეს ყველაფერი ერთ პორციას ჰყოფნის და ახლა წარმოიდგინეთ, მე როგორ დავიხარჯე ამ საოცრების შესაქმნელადო. მზარეული სოსისს „გრანდიოზულ ფოიერვერკს“ უწოდებს და დარწმუნებულია, რომ ძეხვის მოყვარულებს აუცილებლად მოეწონებათ. პროდუქტი ძეხვის კვირეულისთვის დამზადდა, რომელიც 2-დან 8 ნოემბრამდე გაგრძელდება.

*lenta.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



– სად იყავით?

– აი, მარქსის „კაპიტალი“, გადაშალეთ 158-ე გვერდზე.

– კი, მაგრამ ეს გვერდი ხომ ამოხეულია?!

– ჰოდა, როგორ ფიქრობთ ახლა, სად ვიქნებოდი?..

*****

ქმარი ცოლს ეკითხება:

– როცა გეჩხუბები ხოლმე, როგორ ინარჩუნებ სიმშვიდეს?

– უნიტაზს ვხეხავ და ყველაფერი მავიწყდება!

– ???

– შენი კბილის ჯაგრისით!..

*****

როცა მსოფლიოს ბაზარზე ნავთობის ფასები 30 პროცენტით იკლებს, საქართველოზე ეს არაფრით აისახება. ხალხმა ხომ 1-ელ ოქტომბერს ხმა სტაბილურობას მისცა და მიიღო კიდეც სტაბილურობა!..

*****

ბავშვები ერთმანეთს ეტრაბახებიან:

– როცა მე დავიბადე, მამაჩემმა ცხვარი დაკლა!

– როცა მე დავიბადე, მამაჩემმა ხარი დაკლა!

– როცა მე დავიბადე, მამაჩემმა მეზობლის კაცი მოკლა!!!

*****

მილიონერი პირად ექიმს ესაუბრება:

– იცით, გადავწყვიტე, ჰონორარი არ გადაგიხადოთ. ამის ნაცვლად ანდერძში მოგიხსენიებთ. მოგწონთ იდეა?

– შესანიშნავია, ოღონდაც, რეცეპტი დამიბრუნეთ, პატარა ცვლილება მაქვს შესატანი...

*****

მეტრო, პიკის საათი. უცბად მამაკაცის განწირული ხმა ისმის:

– მიშველეთ, ბავშვს ხურდა გადასცდა, მეხრჩობა, მიშველეთ!!!

ხალხს მოსუქებული ქალი გამოეყო, ბავშვს „კვერცხებზე“ ხელი მოუჭირა და მან გადაყლაპული ფული სიმწრისგან უკან ამოაგდო.

– დიდი მადლობა, ქალბატონო! ალბათ, სასწრაფოში მუშაობთ, არა?

– არა, ბატონო, საგადასახადოში...

*****



მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, რაიმე უცნაური ისტორია მოყვნენ. კოტეც უყვება:

– გუშინწინ საღამოს აგარაკზე მამაჩემი ჭაში ჩავარდა.

– ღმერთო, ჩემო! იმედი მაქვს, ახლა მას ყველაფერი ნორმალურად აქვს.

– მეც მასე მგონია: გუშინ უკვე აღარ ყვიროდა და...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მოსამართლემ ციხეში საკუთარი სტენოგრაფისტი ჩასვა



„შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო“, ხომ გაგიგიათ? ჰოდა, დამნაშავესთან ერთად, ფლორიდის შტატის მოსამართლემ ციხეში თავი საკუთარ სტენოგრაფისტსაც უკრა, რომელიც თურმე იმდენად ნელა მუშაობდა, რომ ყველას ნერვებს უწამლავდა.

როგორც ირკვევა, ჩარლზ გრინმა 29 წლის ენ მარგარეტ სმიტს ბრალად სასამართლოს უპატივცემულობა წაუყენა და 5-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ, რასაც თქვენი სამსახური მოითხოვს, ის აუცილებლად ზუსტად უნდა გააკეთოთ, თორემ!..

*etotupo.ru*

## აღმოჩენილია ინფარქტის ახალი მიზეზი — ქლამიდიოზი



ქლამიდიოზი – ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინფექციური დაავადება, რომელიც სქესობრივი გზით ვრცელდება და ქლამიდიის ბაქტერიები იწვევს.

ბუნებრივია, არ არსებობს დაავადება, რომელიც ადამიანს სიკეთეს მოუტანდა, მაგრამ ის, რომ ქლამიდიოზი ინფარქტის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო, თანამედროვე მედიცინამ მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ ამერიკელი სპეციალისტების დახმარებით შეიტყო.

კვლევის ფარგლებში მოხდა ინფარქტის შედეგად გარდაცვლილთა ცხედრების გაკვეთა, რა დროსაც დადგინდა, რომ ზოგიერთის გულის ძარღვების კედლები დაფარული იყო არა ათეროსკლეროზული ნაწილაკებით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არამედ ქლამიდიებით.

სპეციალისტების განმარტებით, ქლამიდია ბაქტერიისა და ვირუსის შუალედური რგოლია. მას შეუძლია უჯრედში ვირუსის მსგავსად შეღწევა და მისი ენერგიის შთანთქმა და საკუთარი თავის მსგავსი მიკროორგანიზმების ჩამოყალიბება. შედეგად ადამიანის ორგანიზმის უჯრედები იღუპება, ხოლო ახლად წარმოქმნილი ქლამიდიები სხვა ჯანმრთელ ნაწილებს უტევენ.

– ქლამიდია ნახევრად ვირუსია და ამიტომ ქლამიდიოზის მკურნალობა საკმაოდ პრობლემურია. როცა ხდება ბაქტერიული ნაწილის მკურნალობა, ქლამიდია ვირუსის გარსს იღებს და ჯანმრთელ უჯრედში იმალება, – განმარტავენ ამერიკელი სპეციალისტები.

სწორედ ასე ხვდება ქლამიდია ადამიანის გულთან და ინფარქტს იწვევს, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე მედიცინისთვის ამ დრომდე უცნობი მოვლენა ყოფილა.

რაც ყველაზე მთავარია, არსებობს ქლამიდიის რამდენიმე ფორმა, რომელიც ადამიანს სქესობრივი გზის გარდა, საყოფაცხოვრებო პირობებშიც გადაეცემა. ამდენად, სპეციალისტები გვირჩევენ, რაც შეიძლება, მეტი ყურადღება მივაქციოთ ჰიგიენას, რადგან ინფარქტის მიზეზი თურმე, მხოლოდ ნერვიულობა და სტრესი არ ყოფილა.

*myjane.ru*

## მედიკოსები აბების დანაწევრებას გვიკრძალავენ



ბელგიელ სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, აბების დანაწევრების ჩვევას შესაძლოა, ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვეს და განკურნების ნაცვლად ადამიანი, კიდევ უფრო დიდ პრობლემებში აღმოჩნდეს.

მათი განმარტებით, აბების გაყოფას პირველ რიგში არასწორი დოზირება მოჰყვება, რაც იმით გრძელდება, რომ მკურნალობის პროცესი ირღვევა – შეიძლება პაციენტმა წამალი ნაკლები ან მეტი დოზით მიიღოს. ეს კი, ბუნებრივია, დადებითი შედეგების მომტანი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ აბების უმეტეს ნაწილს შუაში სპეციალური ჭრილი გასდევს, მათი თანაბრად გაყოფა მაინც თითქმის შეუძლებელია.

ბელგიელი სპეციალისტების აზრით, გამოსავალი მხოლოდ ის არის, რომ მწარმოებლებმა წამლები სხვადასხვა დოზით გამოუშვან, რათა მათ მომხმარებლებს აბების დანაწევრება არ დასჭირდეთ.

*doctor-prof.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**3 ნოემბერი:** თუ ამ დღეს სწორად დაგეგმავთ, ბევრ პრობლემას აიცილებთ თავიდან. არავის არაფერს შეჰპირდეთ, რომც მოინდომოთ, ვერ შეასრულებთ.

**კურო 22.04-21.05**

**3 ნოემბერი:** ყველაფერი იღონეთ, რომ ემოციებმა არ აგიყოლიოთ. მთელი დღის მანძილზე საკუთარი თავის დამშვიდება მოგიწევთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**3 ნოემბერი:** შეეცადეთ, გარშემომყოფებს ყურადღებით მოუსმინოთ და დაუჯერეთ მხოლოდ იმას, ვინც ნათქვამს დაასაბუთებს. ვარაუდებს არ ენდოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**3 ნოემბერი:** სულ უბრალო ამბებიც კი, თქვენს გაოცებას გამოიწვევს. მნიშვნელოვანი საქმეები არ დაგეგმოთ, შედეგს ვერ მიიღებთ.

**ლომი 23.07-22.08**

**3 ნოემბერი:** თუ თვლით, რომ საქმეში ბოლომდე ვერ ჩაერთვებით, გადადეთ. დიდი ალბათობით, მნიშვნელოვან საქმეებზე კონცენტრირება გაგიჭირდებათ.

**ქალწული 23.08-22.09**

**3 ნოემბერი:** საკუთარ გარეგნობასა და ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტი დაისვენოთ და კონტაქტურიც იყოთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**3 ნოემბერი:** მეგობრების დახმარებით რაღაც უნიკალურს შექმნით. მთავარია, სიფრთხილე არ დაივიწყოთ, არავინ იცის თქვენს ნახელავს რისი გამოწვევა შეუძლია,

**მორიელი 23.10-21.11**

**3 ნოემბერი:** თუკი პირად ურთიერთობებში პრობლემები გაქვთ, მოვლენების შემდგომი განვითარება თქვენზეა დამოკიდებული. ყურადღებით იყავით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**3 ნოემბერი:** შეეცადეთ, ეგოისტური განწყობები ახლოს არ გაიკაროთ. სხვათა აზრების გაუთვალისწინებლობა კარგს არაფერს მოგიტანთ. გაითვალისწინეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**3 ნოემბერი:** შეეცადეთ, ეს დღე თქვენს გემოზე გაატაროთ. ამით არაფერი დაშავდება, სამაგიეროდ, უარყოფითი ემოციებისგან დაიცლებით.

**მერწყული 20.01-18.02**

**3 ნოემბერი:** უცნობია, როგორ, მაგრამ, თუ მოინდომებთ, დღეს ნებისმიერ ადამიანს იოლად დაიმორჩილებთ. მთავარია, ეს შესაძლებლობა ბოროტად არ გამოიყენოთ.

**თევზები 19.02-20.03**

**3 ნოემბერი:** ძალიან მაცდუნებელი იქნებით და კარგი იქნება, თუკი საკუთარი თავის კონტროლს შეძლებთ. ნებისმიერ მიზანს მიაღწევთ, მთავარია, ზედმეტი არ მოგივიდეთ.

**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი **თამაზ ბესტავაშვილი**

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**

## მომნუსხველი ხმის პატრონები ერთგულები ვერ არიანო



– განა არ უნდათ ერთგულება, უბრალოდ, ვერ ახერხებენ ამას და რაც გინდათ, ის უთხარით, – მიიჩნევენ კანადელი სპეციალისტები.

პირდაპირ გასაკვირია, როგორ მივიდნენ კანადელები დასკვნამდე, რომ ხმის ტემბრსა და ღალატისკენ მიდრეკილებას შორის კავშირი დაედგინათ, მაგრამ ფაქტია, მათ ასეთი წვეტიანი აზრი დაებადათ და აი, როგორ მოხდა ყველაფერი:

ჯოლიან ო'კონორმა მაკმასტერის უნივერსიტეტიდან და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის მიზანიც იმის დადგენა გახლდათ, რამდენად არის კავშირი ადამიანის ხმის ტემბრსა და ერთგულებას შორის.

ექსპერიმენტების ფარგლებში მოხალისეები ერთი და იმავე ადამიანების ხმებს უსმენდნენ. მშვენიერი სქესის აზრით, რაც უფრო დაბალია რჩეულის ხმა, მით უფრო მაღალია შანსი, რომ ღალატის მსხვერპლნი გახდნენ. ძლიერი სქესი მიიჩნევს, რომ პირიქით, ერთგულების მიმართ მწყრალად არიან ქალები, რომლებიც ხმის მაღალი ტემბრით გამოირჩევიან.

– სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრთხილდით მომნუსხველი ხმის მქონე ადამიანებს, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კანადელი სწავლულები.

კვლევის კურატორი დევიდ ფეინბერგი აღნიშნავს, რომ ხმასა და პოტენციურ ღალატს შორის აშკარა შუამავალი არსებობს – ჰორმონალური ფონი. კერძოდ, რაც უფრო მაღალია მამაკაცებში ტესტოსტერონის დონე, მით დაბალია მათი ხმა. შესაბამისად, რაც უფრო მეტია ქალში ესტროგენი, მით მაღალია ხმა. ეს ორივე ჰორმონი კი ძლიერი და სუსტი რომანტიკული თავგადასავლებისკენ უბიძგებს. მოკლედ, მთელი ჯაჭვი მართლაც ლოგიკურად იკვრება. ჰოდა, კანადელი სპეციალისტები კიდევ ერთხელ გირჩევენ:

– უფრთხილდით მომნუსხველი ხმის მქონე ადამიანებს!..

*science.compulenta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ციხის საკანში ახალი პატიმარი შევიდა. „მაყურებელი“ ეკითხება:

– რამდენი მოგისაჯეს?

– 8 წელი.

– რისთვის?

– ადამიანისთვის პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გამო.

– მოიცა, ეგ როგორ?!

– რა ვიცი, ოჯახური სადილი გვქონდა, უცბად სიდედრს ცხვირიდან სისხლი წასკდა. ჰოდა, სისხლდენა რომ შემეჩერებინა, ყელში ქამარი წავუჭირე...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი –
მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.55